# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 3 ოქტომბერი, 2015 წელი.

№186 (7831)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ცრუსთავორელები სიმართლეს ებრძვიან

## „პოლიტიკურ ფულს“ შანტაჟისტ გვარამიას ხელში სუნი აუვიდა!“

3



**დავით კეზერაშვილი საქართველოში არ არის, მაგრამ ნაციონალთა მზაკვრული ინტერესიდან ის არ წასულა!**

## ინტელექტუალური ცვედნები

6



## ხსოვნის პარკი „მზიურში“



4

## ამიტომ მივწერე უეფას...

ლევან კობიაშვილმა თავისი წერილი გაასაჯაროვა

10



## ირაკლი ღარიბაშვილი:

## ჩვენმა მთავრობამ და ჩვენმა ქვეყანამ ყველა სტრატეგიულ სფეროში წინსვლას მიაღწიეს

2

## გაუფასურებულია, მაგრამ რახან იუბილარია, ვულოცავთ!

ლარი 20 წლის გახდა. 1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ახალი ქართული ეროვნული ვალუტა – ლარი გამოცხადდა. მიმოქცევაში გავიდა – 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები.

სიტყვა „ლარი“, რომელიც ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად შეირჩა, ძველი ქართული სიტყვაა და ზოგადად განძს, ქონებას ნიშნავს, ხოლო, „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია.



1999 წელს სრულყოფის თვალსაზრისით მოდიფიცირებულ იქნა 1995 წლის ემისიის ყველა ნომინალის ბანკნოტები, 2002 წელს 1999 წლის ემისიის მხოლოდ 1, 2, 5, 10 და 20 ლარის ღირებულების ბანკნოტები, 2004 წელს 50 და 100 ლარის ღირებულების ბანკნოტები. 2007 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში 200 ლარის ღირსების ბანკნოტი გაუშვა.

ეროვნული ვალუტის 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა. 28.28-გრამიანი მონეტა დამზადებულია 925 ვერცხლის სინჯით. მონეტის ესკიზის ავტორი მხატვარ-დიზაინერი ბაჩა მალაზონიაა. მონეტა პოლონეთის ზარაფხანაში (Mennica Polska, პოლონეთი) მოიჭრა და რეალიზაციაში ათასხუთასიანი ტირაჟით გავა. მისი სარეალიზაციო ფასი 95 ლარია.

## იოსებ სტალინი გორში დასაბრუნებლად იბრძვის...

2



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# პრეზიდენტი კონგრესმენებსა და სენატორებს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი ვაშინგტონში ვიზიტს განაგრძობს. გიორგი მარგველაშვილი მაღალი დონის შეხვედრებს ამერიკის შერთებული შტატების კონგრესსა და სენატში მართავს.

გიორგი მარგველაშვილი აშშ-ს კონგრესის იურიდიული და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრ ტედ პოს და დემოკრატიული საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელს სტენი ჰოიერს შეხვდა. ასევე, პრეზიდენტმა ქართულ დელეგაციასთან ერთად შეხვედრები გამართა სენატორ რონ ჯონსონთან და ტომ კოტონთან.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველო-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებს, ხაზგასმით აღინიშნა იმ ინიციატივის შესახებ, რომელსაც საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შემოღება გულისხმობს. მხარეებმა უსაფრთხოების საკითხებში ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობაზეც ისაუბრეს.

შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს და იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ახლა დასავლური თანამეგობრობა დგას.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეშფოთებულია ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან ძალადობრივი აქტების განხორციელებით. გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ დაგმო ტერორიზმის ყველა ფორმით გამოვლინებაც.

# ჩვენმა მთავრობამ და ჩვენმა ქვეყანამ ყველა სტრატეგიულ სფეროში წინსვლას მიაღწიეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა.**

**მისი თქმით, მთავრობამ საზოგადოებასთან დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც შრომა და მეწარმეობა დაფასებულია, ხოლო გაჭირვებული ფენებისთვის უზრუნველყოფილია სოციალური დაცვა.**



„მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ დავნერგეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და გავაორმაგეთ სოციალური დახმარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის ფარგლებში ჩვენ, C ჰეპატიტთან ბრძოლის ახალი, ინოვაციური კამპანიის მეშვეობით, გადავარჩენთ 200 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს. ჩვენ ვახორციელებთ ქართული დემოკრატიის განმტკიცებას. ჩვენი ხალხი ითხოვს და იმსახურებს ძლიერ დემოკრატიას და გულისხმიერ მთავრობას. ჩვენ შევქმენით მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, ვიდრე ოდესმე", — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ მთავრობა ამაზე შეჩერებას არ აპირებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შესახებაც ისაუბრა, რომლებმაც საერთაშორისო დამკვირვებელთა დადებითი შეფასება დაიმსახურა.

პრემიერ-მინისტრს ასევე ეამაყება საქართველოს ისტორიაში პირველი ამომწურავი გრძელვადიანი სტრატეგია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და ანტიდისკრიმინაციული კანონი. მისი თქმით, ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვა საქართველოს მთავრობის ურყევი მიზანია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლას გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული ქართველი სტუდენტები დაესწრნენ.

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები, გაერო-ს ტრიბუნიდან პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მოსასმენად, ნიუ იორკში სპეციალურად ჩამოვიდნენ.

გაეროში სიტყვით გამოსვლის შემდეგ სტუდენტებს პრემიერ-მინისტრმა უმასპინძლა. ირაკლი ღარიბაშვილმა ახალგაზრდებთან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმოიხილა. საუბარი ასევე შეეხო მთავრობის მიერ დაგეგმილ პროექტებს.

„ძალიან ენერგიული გამოსვლა იყო. დადებითად ვაფასებ პრემიერის გამოსვლას, რადგან გაახმოვანა საქართველოს წინსვლის პოზიტიური მესიჯები — ეკონომიკური ზრდა, მსოფლიო ბანკის ანგარიში და სხვა. გამოსვლის შემდეგ პრემიერმა გვიმასპინძლა და ვისაუბრეთ ყველაფერზე, რაც გვაინტერესებდა სტუდენტებს", — განაცხადა ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტუდენტმა ირაკლი ელიაშვილმა.

„გაეროში გამოსვლისას პრემიერმა საინტერესო და მნიშვნელოვანი აქცენტები გააკეთა. შემდეგ გვქონდა პირისპირ შეხვედრა, სადაც საქართველოს საშინაო და საგარეო საკითხებზე ვიმსჯელეთ. იყო საინტერესო ხედვა როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის და სოციალური განვითარების კუთხით", — აღნიშნა ნიუ იორკის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ლევან სონღულაშვილმა.

# იოსებ სტალინი გორში დასაბრუნებლად იბრძვის...

**გუშინ გორის საკრებულოს ხმაურიანი სხდომა დასრულდა. სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით მსჯელობა სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე თითქმის 3 საათს გაგრძელდა.**

**საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე, საკრებულოში მერიის ინიცირებით შესული საკითხი ჩავარდა.**



„რესპუბლიკელების" წარმომადგენელი დეპუტატი დავით რაზმაძე სხდომას საერთოდ არ დასწრებია. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელმა დეპუტატმა დავით წეწვაძემაც.

საკრებულოს კენჭისყრის საფუძველზე, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქის ცენტრიდან 5 წლის წინ აღებული სტალინის ძეგლი არ დაიდგმება. თუმცა, საკრებულოზე იმაზეც იმსჯელეს, რომ, შესაძლოა, შემდგომში ამ საკითხის განხილვა სხვაგვარი ფორმულირებით მოხდეს.

როგორც ირკვევა, ტერიტორია, სადაც ორი წლის წინ ძეგლის დასადგმელად კვარცხლბეკი მოამზადეს, არა მუზეუმის, არამედ ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. სწორედ ეს საკითხი გახდა გადაწყვეტილების მიღების საფუძველიც.

დეპუტატთა უმრავლესობა თანახმაა, რომ ძეგლი დაიდგას მუზეუმის ტერიტორიაზე, თუმცა კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რომ ძეგლი განთავსდეს ქალაქის ტერიტორიაზე, ანუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართობზე. დაპირისპირება ამ გადაწყვეტილებასაც მოჰყვა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ კომუნისტური პარტიის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალეკო ლურსმანაშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი და ასევე გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალერი სუხიშვილი.

გიორგი კანდელაკის განცხადებით, არჩევნებისას „ქართულ ოცნებას" გორელების დიდმა ნაწილმა მხარი იმის გამო დაუჭირა, რომ აქცენტი კეთდებოდა სამომავლოდ ძეგლის დაბრუნებაზე, თუმცა კანდელაკი დღეს მიიჩნევს, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ ამომრჩეველი მოატყუა.

ვალერი სუხიშვილი კი აცხადებს, რომ კვლავ გააგრძელებენ ბრძოლას ძეგლის დასადგმელად და ორ-სამ წელიწადში ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიდერის მონუმენტს არა მუზეუმის ტერიტორიაზე, არამედ მის ძველ ადგილზე დააბრუნებენ.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, პაპუნა კობერიძეს არც დღეს დაუმალავს საკუთარი პოზიცია, რომ მუზეუმის ტერიტორიაზე ძეგლის დადგმის მომხრეა და არ გამორიცხავს, რომ დაიწყოს მსჯელობა იმ ადგილის მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, სადაც ძეგლის აღმართვა იგეგმებოდა.

საკრებულოს სხდომის პარალელურად სტალინის ძეგლის დადგმის მომხრეები შენობის გარეთაც იყვნენ შეკრებილები. რამდენიმე მათგანმა რეფერენდუმის ჩატარების იდეაც გააჟღერა.

# „რუსთავი-2"-ის ადვოკატების სამი შუამდგომლობიდან არც ერთი არ დაკმაყოფილდა

**მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ „რუსთავი-2"-ის ადვოკატების სამი შუამდგომლობიდან არც ერთი არ დააკმაყოფილა. კერძოდ, ტელეკომპანიის დამცველებმა თავდაპირველად დააყენეს მოსამართლე ურთმელიძის აცილების შუამდგომლობა. ამის არგუმენტად ის დაასახელეს, რომ ურთმელიძეს უნდობლობას უცხადებენ. ამ შუამდგომლობას შეეწინააღმდეგა ქიბარ ხალვაშის მხარე. მოსამართლემ საკუთარი თავი არ აიცილა და იგი კვლავ გააგრძელებს აღნიშნული საქმის განხილვას.**

„რუსთავი-2"-ის ადვოკატებმა პროცესის გადადების შუამდგომლობა მოითხოვეს. ამის არგუმენტად კი დაასახელეს ის გარემოება, რომ პროცესს არ ესწრება ტელეკომპანიის დირექტორი ნიკა გვარამია, ასევე მთავარი იურისტი. მოსამართლემ არც აღნიშნული შუამდგომლობა დააყენა.

ტელეკომპანიის ადვოკატებმა ამ დრომდე კიდევ ერთი შუამდგომლობის დაყენება მოასწრეს. კერძოდ, მათ მოითხოვეს აღნიშნული საქმის მოსამართლეთა კოლეგიის მიერ განხილვა, თუმცა თამაზ ურთმელიძემ არც აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

# არავითარი პოლიტიკური ინტერესები – ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს

**ტელეკომპანია „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით ყველანაირ პოლიტიკურ ინტერესებს გამოვრიცხავ — ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარი ხადურმა საკითხის კომენტირებისას განაცხადა.**



ნოდარ ხადურის თქმით, სასამართლო დღეს არის ყველაზე დამოუკიდებელი და საკითხის გადაწყვეტა მას უნდა მივანდოთ.

ხელისუფლების ინტერესებს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში გამორიცხავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილიც.

„ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რევიზიას მე ვერ გავაკეთებ. აქ ხელისუფლება არაფერ შუაში არ არის. ორ სუბიექტს შორის მიმდინარეობს დავა და ეს ხელისუფლებას არ ეხება", — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

# „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით საქმის განხილვა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის ჩემი საქმე"

**ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა.**

**როგორც წულუკიანმა აღნიშნა, მისთვის მთავარია „რუსთავი-2"-მა გააგრძელოს მაუწყებლობა, გააშუქოს ის სიახლეები რაც ქვეყანაშია, რადგან მინისტრის თქმით, ყველას, მით უმეტეს მედიასაშუალებებს აქვთ გამოხატვის თავისუფლება და ასევე უფლება რომ გაავრცელოს ინფორმაცია.**

რაც შეეხება საჯარო რეესტრთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს, მინისტრმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრი ეს არის საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ინსტიტუტი.



„მე ვისურვებდი, რომ არც ერთმა, მათ შორის მედია ხელმძღვანელმა არ დააკნინოს მისი როლი, რადგან საჯარო რეესტრის ფუნქცია არის ბიზნესმენებს შორის თანაბრად დაიცვას მხარეები. დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი კი არის ის, რომ როგორც კი განცხადება შემოდის წილის გასხვისებაზე, გადაცემაზე, დასკანერდება თუ არა, პირველივე წუთს საჯარო რეესტრის ვებ გვერდზე იტვირთება, რომ სხვა მხარეებმა ნახონ. ეს არის ის გამჭვირვალობა, რაც ჩვენ გვაქვს ბიზნესმენებისადმი. ეს არის ის ერთ-ერთი მიქანიზმი, რაც ჩვენ „დუინგ ბიზნესში" კარგ ინდექსებს გვაძლევს, ეს არის ის, რაც ღია მმართველობის პარტნიორობაში არის წამყვანი, რომ ბიზნესმენები ერთმანეთს კი არ უსხვისებდნენ წილებს ჩუმად, არამედ საჯარო რეესტრში შემოსული განცხადება იყოს გამოქვეყნებული იმავე წუთს, რომ ყველამ ნახოს", — აღნიშნა წულუკიანმა.

მისივე თქმით, საჯარო რეესტრმა განცხადება გამოაქვეყნა და იმ დღესვე იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ მინდობილობა უნდა გასწორებულიყო.

# დავით და აკუ შაიბნენ...

**ქუთაისში, პარლამენტის წინ, მიმდინარე აქციაზე, აქციის მონაწილეები დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს დაუპირისპირდნენ. მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დეპუტატს. აქციის მონაწილეებმა დავით ლორთქიფანიძეს რუპორი ესროლეს და პიჯაკი შემოახიეს. სიტუაციის განმუხტვა სამართალდამცავებმა შეძლეს.**

ამის შემდგომ პარლამენტში, პლენარული სხდომის გახსნამდე, დეპუტატები დათო ლორთქიფანიძე და უმცირესობის წევრი აკაკი მინაშვილი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირების მიზეზი გახდა პარლამენტის წინ მიმდინარე აქცია, რომელსაც „რუსთავი-2"-ის მხარდასაჭერად „თავისუფალი ზონის" და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მართავენ. დაპირისპირება სხდომათა დარბაზში მოხდა.



ლორთქიფანიძეს მანამდე აქციის მონაწილეები დაუპირისპირდნენ და მათი გაშველება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებს მოუხდათ.

# „პოლიტიკურ ფულს“ შანტაჟისტ გვარამიას ხელში სუნი აუვიდა!“

**პოლიტიკური დემაგოგი ნიკა გვარამია მოსახლეობას მოუწოდებს, რომ „რუსთავი-2“ -ს გვერდში დაუდგეს და ბრძოლაში მათ გვერდით იდგეს, მათ შორის, სასამართლო პროცესებზეც იაროს. გვარამიას განცხადებით, ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“ დახურა.**

ნაცპროკურორალი ნაციონალი პოლიტიკურ შანტაჟსაც არ ერიდება და განაგრძობს:

**„არ დაგტოვებთ მარტო პირისპირ მატყუარა ხელისუფლებასთან, რომელსაც ქართული დემოკრატიისთვის დღეს განაჩენი გამოაქვს. არ მოგატყუოთ იმან, რასაც ახლა ხედავთ ტელეეთერებში. ის, რომ ჩვენ მაუწყებლობას ვაგრძელებთ, არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ყველაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენ ეს მაუწყებლობა შევწყვიტოთ. დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ ახლოს ვართ მაუწყებლობის შეწყვეტასთან. გადაკეტილი გვაქვს ყველა ფინანსური არხი, რომელსაც ალტერნატივის შემთხვევაში ვიყენებდით. ხელისუფლებას ვპირდები, რომ ვიდრე „რუსთავი-2“ დაიხურება, დაიხურებით თქვენ“,** — იმუქრება **ნიკა გვარამია.**

— ქიბარ ხალვაში იბრძვის არა ქონების დასაბრუნებლად, არამედ ტელეკომპანიის და თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში, ხალვაში უარს არ იტყოდა 6 მილიონით „რუსთავი-2“-ის გამდიდრებაზე.

**— ამ ნაბიჯით ამ ხელისუფლებამ გამოიტანა სასიკვდილო განაჩენი, საკუთარი ხელით „რუსთავი-2“ დახურა. როგორ მოვიქცევით ჩვენ, ვიმუშავებთ თუ არა უფასოდ, მოვიზიდავთ თუ არა გრანტებს, ჩვენი შემოსავალი გაიზრდება თუ არა, ეს იქნება ჩვენი დამსახურება და ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება. თუ ხალვაში იგებს და დარწმუნებულია, რომ მისია „რუსთავი-2“, მას დარჩებოდა ეს საკუთრებაში. დადასტურდა ორი რამ — ქიბარ ხალვაში იბრძვის პერსონალურად „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, მის შესაფერხებლად და ქიბარ ხალვაში არის სახელმწიფო და სახელმწიფო დგას მის მხარეს.**

შემდეგ იურისტი ნაციონალი აშკარად ზემოქმედებს თავისუფალ სასამართლოზე:

**— ცინიკური და ირონიულია, რომ ეს გადაწყვეტილება გამოიტანა იგივე მოსამართლემ — თამაზ ურთმელიძემ, რომელიც არის ქართული სასამართლო სისტემის სირცხვილი, რომელიც იბრძვის თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. ბიძინა ივანიშვილის დაქირავებული მოსამართლეა და მაღალი ალბათობით, ის არის კორუფციაში ჩაბმული და აღებული აქვს თანხა იმისათვის, რომ ასეთი გადაწყვეტილებები გამოიტანოს“,** — უტიფრად აცხადებს ნიკა გვარამია.

## დავით კეზერაშვილი საქართველოში არ არის, მაგრამ ნაციონალთა მზაკვრული ინტერესიდან ის არ წასულა!

გვარამია ადასტურებს, რომ „რუსთავი-2“-მა 6 მილიონის ინვესტიცია დავით კეზერაშვილის ნათესავისგან, კერძოდ კი ცოლისძმისგან დიმიტრი ჩიქოვანისგან მოიზიდა. რადგან, მისივე განცხადებით, სხვა ინვესტორი ვერ დააინტერესეს. კეზერაშვილის ცოლისძმის მიერ ტელეკომპანიაში 6 მილიონის ინვესტიციის განხორციელებას, პოლიტიკის შემადგენელს უწოდებს ჟურნალისტი **თამარ ჩიქოვანი,** რომლის განცხადებით, ეს არის პოლიტიკური ფული და როცა პოლიტიკური ფული შემოდის ტელევიზიაში, ეს ყოველთვის აისახება ჟურნალისტის მუშაობაზე. როგორც ჩიქოვანი ამბობს, მისთვის გაუგებარია რატომ თანხმდებიან ამას ჟურნალისტები.

**— რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური ფული. მანამდეც იყო ასეთი ტენდენცია და პრაქტიკა, როდესაც წინასაარჩევნო პროცესის პარალელურად, ტელევიზიაში იდებოდა თანხები. სამწუხაროა, თუ ეს პროცესი გაგრძელდა. მედიამ უნდა ისწავლოს სარეკლამო შემოსავლებით ცხოვრება და იმოქმედოს იმ ფარგლებში, რის საშუალებას რეკლამით შემოსული თანხები მისცემს. პოლიტიკური ფული ტელევიზიაში არ უნდა იდებოდეს და ამ შემთხვევაში, ეს პოლიტკური ინვესტიციაა.**

ექსპერტ **გია ხუხაშვილის** განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ ტელევიზიას შემოსავლების პრობლემა აქვს, ბუნებრივია, რომ მან შემოსავლის ლეგალური წყარო უნდა იპოვოს.

**— „რუსთავი-2“ რომ პოლიტიკაა, ეს ფაქტია და ასევე ფაქტია, რომ წინასაარჩევნოდ ეს არხი გარკვეულ პოლიტიკურ ვექტორზე მუშაობს. ფიზიკურად კეზერაშვილი საქართველოში არ არის, მაგრამ ამ პოლიტიკური ინტერესიდან ის არ წასულა. რა თქმა უნდა, მისი ცოლის ძმის მიერ განხორციელებული ინვესტიცია არის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და ამას არც „რუსთავი-2“ და არც კეზერაშვილი არ უარყოფენ. ამ ტელევიზიას აქვს მიკერძოებული პოლიტიკური ვექტორი და ამას არც ტელევიზიის ხელმძღვანელები უარყოფენ. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ობიექტური მედია. მედია გაიყო მხარეებად,** —ამბობს გია ხუხაშვილი.



დამოუკიდებელი ექსპერტი **ზაალ ანჯაფარიძე** კი სვამს კითხვას, საიდან და რა წყაროებიდან მოიზიდა ჩიქოვანმა აღნიშნული თანხა? მისივე თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ტელევიზია ყოველთვის იყო და არის პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი, შესაბამისად, ჩიქოვანის მიერ 6 მილიონი დოლარის ინვესტიციაც პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

**— კეზერაშვილი იყო ხელისუფლების წარმომადგენელი, მას ჰქონდა ფინანსური რესურსი, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად კანონიერად ჰქონდა მოპოვებული ეს ფინანსური რესურსები. რამდენადაც ვიცით, კეზერაშვილი ბიზნესით არ იყო დაკავებული მანამ, ვიდრე ხელისუფლებიდან არ წავიდა. იგივე შემიძლია ვთქვა ჩიქოვანზე, რამდენად წარმატებული ბიზნესმენი იყო ის, რომ ჰქონოდა ამხელა ფინანსური რესურსი?**

**სამწუხაროდ, საქართველოში ტელევიზიები პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი გახდნენ. აყალიბებენ ქვეყანაში საინფორმაციო გარემოს და მათი საქმიანობა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკურ კლიმატზე, ამის მკაფიო დადასტურება იყო ის, რაც მოხდა რამდენიმე დღის წინ, როდესაც „რუსთავი-2“-მა გაავრცელა ვიდეოკადრები. ასე რომ, ტელევიზიები არიან პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და ამას ვერსად წაუვალთ,** — განაცხადა ზაალ ანჯარიძემ.

**საინფორმაციო სააგენტოების მასალებზე დაყრდნობით მოამზადა**
**ძუკუ გვარამაძემ**

# დახურვა თუ „მოთვინიერება“, ანუ რა ელოდება „რუსთავი-2“-ს?!

**არის თუ არა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული აჟიოტაჟი საქართველოში თავისუფალი სიტყვის ჩაწიხვლის (განადგურების) დასაწყისი? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან ბევრს აინტერესებს, მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა ტელეკომპანიის მენეჯმენტი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ „რუსთავი-2“-ის დახურვა დღევანდელი ხელისუფლების, პირადად ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში შედის!**

**ვიდრე ხელისუფლების „ცოდვებზე“ „რუსთავი-2“-თან მიმართებაში და სასამართლოს მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვისაუბრებდეთ, უპრიანია აღვნიშნოთ, რა სარგებლობა, ან ზიანი მოაქვს „რუსთავი-2“-ს საზოგადოებისთვის და მისი დახურვის შემთხვევაში შეექმნება თუ არა საქართველოში საფრთხე თავისუფალ აზრს და, შესაბამისად, ქართულ მედიას?!**

ის, რომ ტელეკომპანია უახლესი ტექნოლოგიით და ასევე პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექტებული, საკამათო არ არის (თუმცა, ამ პროფესიონალიზმში, ჟურნალისტიკის მთავარი მოთხოვნა — სიმართლე და ობიექტურობა არ იგულისხმება). მთავარია, რას ემსახურება იგი და რამდენად უწყობს ხელს საზოგადოების ჯანსაღი ცნობიერების ფორმირებას, რამდენად ქმნის ობიექტურობის განცდას და ასრულებს თუ არა ხელისუფლების პირუთვნელი (ობიექტური) ოპონენტის ფუნქციას!

**თუ „რუსთავი-2“-ის მიმართ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში დამკვიდრებული განწყობით ვიმსჯელებთ, ტელეკომპანია უფრო ნეგატიურ (დესტრუქციულ) ფუნქციას ასრულებს, ვიდრე პოზიტიურს, თუმცა მაყურებლის ინტერესის სფეროდან არ გადის — რაც არ უნდა კურიოზად მოგეჩვენოთ, „რუსთავი-2“ ბევრს არ მოსწონს, მაგრამ მაინც უყურებს!**

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი დემოკიდებულების მიუხედავად, თავისი ოპერატიულობით და თემატური მრავალფეროვნებით „რუსთავი-2“ მონსტრ ტელემედიად ჩამოყალიბდა, რომელსაც სხვა ტელეკომპანიები არსებით კონკურენციას ვერ უწევენ (ისე უზნეობის ქადაგებაში არც „იმედი“ ჩამორჩება). აღარაფერს ვამბობ მის „დამსახურებაზე“ „ვარდების რევოლუციის“ დაგვირგვინებაში, რის გამოც „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიის იარლიყიც კი მიიწება.

თუმცა, მთავარი იარლიყი „ნაციონალური რეჟიმის“ რუპორობაა, რომელსაც წარმატებით ართმევს თავს — მეტიც, დღევანდელი გადასახედიდან „ნაციონალურ მოძრაობას“ მყარ დასაყრდენად საქართველოში მხოლოდ „რუსთავი-2“ შერჩა და თუ ეს უკანასკნელი მოჰიკანიც ხელიდან გამოაცალეს, მათი პოლიტიკური აღსასრულიც დაჩქარდება!

წესით და კანონით, „ნაცების“ და „რუსთავი-2“-ის უცვლელი პატრონის — ამერიკის ახალი ემისრის განცხადების შემდეგ ქართულ სასამართლოს გუშინ ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო.

რა მოხდა?

სასამართლო მართლაც დამოუკიდებელია და იგი პოლიტიკურ კონიუნქტურას ანგარიშს არ უწევს, თუ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა იმდენად ძლიერია, რომ ცდუნებას ვერ გაუძლო და თავი ხაფანგში გაყო? ან, იქნებ, ეს გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკურია და ქვეყანაში სიტუაციის არევას ისახავს მიზნად?!

ის, რომ კარს მომდგარი არჩევნების წინ დღევანდელი ხელისუფლება დაინტერესებულია „რუსთავი-2“-ის „მოთვინიერებით“, მტკიცებას ნამდვილად არ საჭიროებს. არც ის არის საკამათო, რომ ქიბარ ხალვაშის „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა „რუსთავი-2“-ის დასაბრუნებლად მხოლოდ ქონებრივ დავას არ უკავშირდება (გავიხსენოთ, „ნაცების“ ზეობის პერიოდში როგორ გახდა იგი „რუსთავი-2“-ის მესაკუთრე). აქედან გამომდინარე, ტელეკომპანიის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ნამდვილად პოლიტიკური დაკვეთის სუნი ასდის. აქსიომაა ისიც, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლების და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესები „რუსთავი-2“-თან მიმართებაში ერთმანეთს ემთხვევა — ბევრი არც მალავს, რომ მიესალმება აღნიშნული ტელეკომპანიის დახურვას, რომელმაც „საზოგადოება მოწამლა“.

ზემოთ სიტყვა „მოთვინიერება“ შემთხვევით არ გამომიყენებია — ხელისუფლების მიზანი არა არხის დახურვა (ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო იმიჯზეც), არამედ, მისი მოთვინიერებაა! მესაკუთრის ცვლილება კი პირდაპირ აისახება ტელეკომპანიის მენეჯმენტზე, რაც გავლენას მოხდენს სარედაქციო პოლიტიკაზე ხელისუფლების სასარგებლოდ.

ამ აჟიოტაჟის გმირი ქიბარ ხალვაშიც საჯაროდ აცხადებს, რომ „რუსთავი-2“ არ დაიხურება და არც ჟურნალისტებს ემუქრებათ საფრთხე.

**მიუხედავად იმისა, რომ ნიკა გვარამია თავის „ნაცნარჩენებთან“ და ოდიოზურ არასამთავრობოებთან ერთად ამტკიცებს, რომ თავისუფალ სიტყვას საფრთხე ემუქრება საქართველოში და „რუსთავი-2“ ხელისუფლების დაკვეთით იხურება, არა მგონია, უკვე მეორედ, მათ მასების ეგზალტირება და აყოლიება შეძლონ — ის კონტინგენტი კი („ნაციონალებს“ და მათ მომხრეებს ვგულისხმობ, რომელიც „შაგრენის ტყავივით“ შემოადნათ) არ იქნება საკმარისი ქვეყანაში რევოლუციური სულისკვეთების გასაღრმავებლად.**

**ჯერ ერთი, სასამართლოს გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“ არ დაიხურება, მეორეც, ხალხი უკვე არ „ჭამს“ მათ ოინებს და არ გაყვება!**

ასე, რომ იწივლებენ, იკივლებენ, ხელოვნურ აჟიოტაჟს შექმნიან, მაგრამ შედეგი ნამდვილად ის არ იქნება, რაც მათ და მათ დამკვეთებს სურთ.

**ანდრია ლისაშვილი**

**მინაწერი: სასამართლომ „რუსთავი-2“-ის მესაკუთრის — შპს „საქართველოს“ ქონებაც დააყადაღა, სადაც 6 მილიონი „ინვესტიციაც“ მოჰყვა. როგორც ჩანს, „რუსთავი-2“ს არც ახალი „ინვესტორის ძებნამ უშველა.**

**ნიშანდობლივია ისიც, რომ ახალ ინვესტორში კეზერაშვილის გვარმა გაიჟღერა, რაც ქართველ საზოგადოებაში დადებით ასოციაციას ნამდვილად არ იწვევს.**

**არ ვიცი, როგორი იქნება მაყურებლის სოლიდარობა „რუსთავი-2“-ს მიმართ და აიტაცებს თუ არა ქართველი საზოგადოება ნიკა გვარამიას მოწოდებას, მაგრამ მე მინდა მოგიწოდოთ:**

**„ბიძიებო, დეიდებო“... გაიღეთ მოწყალება, გადავარჩინოთ „რუსთავი-2“ და ამით ჩვენ სიტყვის თავისუფლებასაც გადავარჩენთ!**

**ა. ლ.**

**ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია!!! რაც არ უნდა გაიუმჯობესოს ხელისუფლებამ ქვეყნის მართვის ინდექსი, მსოფლიო ბანკის კვლევებში თუ სხვაგან, ხარისხის მაჩვენებელი ერთადერთია — ხალხის კმაყოფილება ან უკმაყოფილება!**

„ქართული ოცნების“ რეიტინგი რომ დაეცა, ფაქტია. არა იმიტომ, რომ ვიღაცას ღარიბაშვილის ან სერგეენკოს სიფათი არ მოსწონს, ცხოვრება გართულდა. ვინ დაგიდევთ, რა არის მიზეზი: ივანიშვილის ჩარევა პოლიტიკაში, ალასანიას გულისწუხილი, რომ ქვეყანამ კურსს გადაუხვია თუ საგარეო ფაქტორების ზემოქმედება, ეს ყველაფერი ძალიან მეორეხარისხოვანია, როცა ჯიბე ცარიელია, კუჭი — ცარიელია, ავადმყოფი — უწამლოდ დარჩენილი... მილიონზე მეტი მოქალაქე — უცხოეთში გახიზნული. როცა ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი დადო ერთ-ერთმა სააგენტომ, სადაც ის მსოფლიო ბანკის ბოლო გაუმჯობესებულ რეიტინგზე საუბრობდა და რეგიონში მოპოვებული მთავრობის მუშაობის ეფექტიანობის უმაღლესი შეფასებით „ყელყელაობდა“, — სოციალური ქსელის მომხმარებელმა სრულიად უხამსი, მაგრამ გულწრფელი კომენტარი დატოვა: „მო...ყან რეფორმა!“.

თვალს ლიბრგადაფარებული მთავრობა მეტის ღირსია. თუ მართლა ეფექტიანად მუშაობ — რატომ ვერ გრძნობს ამას საკუთარ თავზე ხალხი?! და თუ ყველა ის იდეა და პროექტი, რომელსაც ახორციელებ, გრძელვადიანია და შორეულ სტრატეგიაზეა გათვლილი — რატომ არ იცის ხალხმა, რატომ უმალავ?! ჩემი აზრით, აქ უფრო პიარია დამნაშავე, ანუ საზოგადოებისგან დისტანცირება, ადამიანებთან კომუნიკაციის უქონლობა. ოპოზიცია კი ამით არაჩვეულებრივად სარგებლობს და შანსს არასოდეს უშვებს ხელიდან — შეაძულოს ხალხს ეს მთავრობა. ახერხებენ კიდეც!

მაია ასათიანის სეზონის პირველ „პროფილშიც“ სოციალურ მძიმე ფონზე იყო საუბარი. ეთერს ნაციონალურ მოძრაობასთან ჩახუტებული მაია ორჯონიკიძეც სტუმრობდა. 170 ათასი სოციალურად დაუცველი ამოყარეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ბაზიდანო და დახმარება წაართვეს, შიმშილით სიკვდილისთვის გაწირესო, ნიშნის მოგებით შესძახა თავისი მქუხარე ხმით და მისი აზრით, ამით ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ უსამართლოდ და უდიერად ექცევა სახელმწიფო ყველაზე მოწყვლად ფენას, დაუცველ ადამიანებს. არადა, ვიცით, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს სისტემა მოაწესრიგა... მართალია, ვიღაცა ამოვარდა ბაზიდან (მთავრობის მტკიცებით, დამსახურებულად), მაგრამ ვიღაც, სხვა უფრო მეტად გაჭირვებულით ჩანაცვლდა.



# ბატონო ზაზა სოფრომაძე, თუ ჟურნალისტს არ უსმენთ, ე. ი. არ უსმენთ ხალხსაც!!!

## ...როცა ლატაკის სტატუსით ცხოვრება არ გვეხამუშება

**მგონი, იმ ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ კულტურასა და სოციალურ ფონზე საერთოდ ძნელია ილაპარაკო, სადაც ადამიანებს არ ეხამუშებათ ლატაკის სტატუსით ცხოვრება, მაგრამ საქართველოს რეალობა ამაზე უკეთესი არ არის და რა ვქნათ?!**

და მაინც, მაია ორჯონიკიძის ამ რიყიო რეპლიკამ გვიბიძგა, კიდევ ერთხელ დავინტერესებულიყავით ამ თემით, სოციალური სააგენტოს პირველი პირიდან მოგვესმინა სიმართლე, ობიექტური მიზეზები და მიზნები იმისა, თუ რას გეგმავს ხელისუფლება, რა გზებით ცდილობს შეამსუბუქოს ისედაც დამძიმებული სოციალური ყოფა.

ამ დღეებში სააგენტოს ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე უცხოეთში იმყოფებოდა. ორშაბათს ჩამობრძანდა. გუშინ კი პირად ტელეფონზე დავურეკე და საკმაოდ მოკრძალებულად შევეცადე, ამეხსნა გაზეთის რედაქციის დავალება და საზოგადოებისთვის აგვეხსნა სიმართლე, მიგვეწოდებინა ობიექტური ინფორმაცია. მაგრამ აღარ დამაცადა, როგორც კი სიტყვა „ჟურნალისტი“ ვახსენე, ცივი უარი მტკიცა, „ამისთვის ახლა მე სად მცალიაო“... იქნებ რომელიმე მოადგილესთან გადამამისამართოთ-მეთქი, მაგრამ, **სავარაუდოდ, ეს თხოვნა მას არ მოუსმენია. ტელეფონი გამითიშა!!!**

**ჩემო ძვირფასო ჩინოვნიკებო, გააფრთებული, შეწუხებული ხალხის პირისპირ რომ არ დარჩეთ, ჩვენი გაზეთი ფარად გეფარებათ, ჩვენი ყველანაირი ძალისხმევა იმისკენ არის მიმართული, რომ თქვენს საქმიანობაში ნათელი წერტილი ვიპოვოთ, ის სხივი ვიპოვოთ, რომელიც მომავლის განათების პათოსით აღგვავსებს. გვინდა, მკითხველს ობიექტური სიმართლე ვუთხრათ, თქვენი შრომა წყალში არ ჩავყაროთ და მივაწოდოთ ისე, როგორც არის, მაგრამ... წარმოუდგენელია თქვენგან ასეთი უგულისყურობა ჟურნალისტების მიმართ. ამ ხელისუფლებას რომ პიარი ჰაერივით სჭირდება, ისედაც ფაქტია და ყველამ იცით. ყოველგვარი ქვენა მიზნებისა და გრძნობების გარეშე ვცდილობთ, ქვეყნის შენებაში ხელი წაგიკრათ, სტიმული მოგცეთ, წაგახალისოთ, თქვენ კი... ჩვენთან ურთიერთობა გეზარებათ, თანამშრომლობის სურვილი არა გაქვთ...**

ბატონო ზაზა, ტელეფონი რომ ჩართული გაქვთ, ნიშნავს იმას, რომ ხალხთან ურთიერთობთ?! ვინმეს ხმას მოისმენთ, ვინმეს დაეკონტაქტებით, ან გასაჭირს გაიზიარებთ?! როცა „მეოთხე ხელისუფლებასთან“ ურთიერთობის დრო არ გრჩებათ, ეს იმის პირდაპირი და უტყუარი ნიშანია, რომ, უბრალოდ, კრიტიკის გეშინიათ, სათქმელი არა გაქვათ!!! როცა ჟურნალისტს არ უსმენთ, ე. ი. არ უსმენთ ხალხსაც! დავიჯეროთ, რომ თქვენ და თქვენი სამსახური გასაგებად აუხსნით ადამიანებს, რატომ არ არიან ისინი სოციალურად დაუცველთა ბაზაში? — ეჭვი მეპარება. ჰოდა, მაშინ, რატომ გიკვირთ, როცა თქვენი ოპონენტები უფრო ადვილად ახერხებენ საზოგადოებრივი აზრის ზომბირებას. ჩვენ არ ვიცით, რა არის სიმართლე, თქვენ კი არ გვეუბნებით! — ასე არ გამოვა...

**წინ არჩევნებია... ხალხს შეიძლება გულმავიწყობა სჩვევია, მაგრამ ჟურნალისტებს ამის უფლება არა გვაქვს...**

**თეა მოსია**

⊙ კომპეტენტური აზრი

# ხსოვნის პარკი „მზიურში“

**ერის ინტელექტის, კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი დამოკიდებულება სახელოვანი ადამიანების, ისტორიის, გმირების ხსოვნისადმი. ხსოვნის კულტურის არქონას ქართველ ერს ვერავინ ვერ დასწამებს, ის ჩვენს გენეტიკაშია.**

დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მეუფლება, როდესაც დიდი ქვეყნის უმაღლესი პირები და დელეგაციები მიდიან გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად. მემორიალის (მემორიალური კედლის) არც ადგილი, არც არქიტექტურა არ პასუხობს მის განსაკუთრებულ დანიშნულებას, არ გააჩნია აუცილებელი ემოციური მუხტი. მიხეილ სააკაშვილმა ესპანელ ა.დ.კაბოს (ის, ასევე, არის ავტორი უფუნქციო და უცხოელებისთვის 1 ლარად მიქირავებული „ანბანის კოშკისა“ ბათუმში) „გმირთა მოედანზე“, ესტაკადებში, ხსოვნის ობელისკი ჩაადგმევინა. ობელისკთან არა თუ რიტუალების ჩატარება, არამედ მისვლაც კი სიცოცხლისთვის სახიფათოა, ამიტომაც იქ დღემდე რიგითი ადამიანი არავის უნახავს. ერთ „მოედანზე“ არის ორი უსახური მემორიალი!

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ტრაგედიები სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით, თითქმის ყველა ქვეყანამ იწვნია. ყველამ ღირსეულად აღნიშნა ეს ტრაგედია. მაგალითებს არ ჩამოვთვლი, ეს ყველასთვის ცნობილია.

ადგილს, გმირთა მოედნის კუთხეში, სადაც ამჟამად მდებარეობს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალური კედელი, განვითარებისა და მხატვრული სრულყოფის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. ის ერთნიშნად არამემორიალური ადგილია.

მიმაჩნია, მემორიალისთვის საუკეთესო ადგილია „მზიურში“ ვაკის რაიონის პოლიციაზე დამაგრებული ტერიტორია. შესაძლებელია შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოება-გარდასახვა „ხსოვნის ტაძრად“, რომელიც საუკუნეებს „შეუნახავს“ არა მხოლოდ აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულთა ხსოვნას, არამედ ყველას ხსოვნას, ვინც ქვეყნის ინტერესების მსახურებას შეეწირა, მათ შორის ავღანეთში დაღუპული სამხედროების და მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას. ისინი იმსახურებენ იმას, რომ მათი პატივგება გვარებისა და ინიციალების აღვნიშვნით არ შემოიფარგლოს. რეკრეაციულ სივრცეს თავისი არსით თუ რომელიმე საზოგადოებრივი ობიექტი მიესადაგება, ეს სწორედ ხსოვნის მემორიალია. ტერიტორია შეიძლება იქცეს „ხსოვნის პარკად“ — იმავდროულად, სარეკრეაციო სივრცის ნაწილად.



თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნებით, პოლიციასაც უნდა აწყობდეს სხვა რეზიდენცია. არსებული შენობა გამაღიზიანებლად დომინირებს გარემოზე.

**ვახტანგ დავითაია,**
**ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, აკადემიკოსი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი**

⊙ ტურიზმი

# ტურისტების რაოდენობა იზრდება

**2015 წლის სექტემბერში საქართველოს 568 663 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.6%-ით მეტია. მათ შორის იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 15.8%-ით არის გაზრდილი.**

**ეს სტატისტიკური მონაცემები ჟურნალისტებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი ჩოგოვაძემ გააცნო.**



**2015 წლის სექტემბერში ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან (+9.0%), სომხეთიდან (+6,9%), აზერბაიჯანიდან (+6.0%), რუსეთიდან (+12,6%) და უკრაინიდან (+11,7%) განხორციელდა. 90,7%-ით გაიზარდა ისრაელიდან შემოსული მოგზაურების რაოდენობა, (11,2%-ით — გერმანიიდან, 408,4%-ით — ირანიდან, 55,1%-ით — ბელარუსიდან, 18,9%-ით — ყაზახეთიდან, 53,6%-ით — გაერთიანებული სამეფოდან, 968,9%-ით — ერაყიდან, 34,8%-ით — ჩეხეთიდან.**

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, საერთაშორისო მოგზაურების ზრდა დაფიქსირდა 9 თვის მონაცემებითაც. საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 4 491 039 შეადგინა, ზრდა კი 6,7%-ია. აქედან ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1 801 018 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 1,6%-ით აღემატება.**

**გიორგი ჩოგოვაძის თქმით, ზრდა ფიქსირდება საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების კუთხითაც. 2015 წლის მეორე კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 460 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 7.1%-ით აღემატება. პირველი ორი კვარტალის ჯამური მონაცემებით, შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 766.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.9%-ით მეტია.**

**ინტერპრესი**

№186. შაბათი, 3 ოქტომბერი, 2015 წელი.

# „ძველი ქუჩის“ გრაფიკი

**როგორც იქნა, თენგიზ დგებუაძემ მაღლივი კორპუსის ბოლო სართულიდან „ევრორემონტიანი“ ბინა თბილისის ძველ უბანში, თბილისური ეზოს პირველ სართულზე გადაცვალა. იფიქრა, ჩემს ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღო და უშუქობა-ულიფტობისგან გამოწველი კოშმარები უკან მოვიტოვეო.**



კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ახალ ბინაში გადასვლიდან მეორეს დღეს აუხდა. ის იყო თვალი გაახილა და გაიფიქრა, ცოტას მოვწესრიგდები და ახალ მეზობლებსაც რიგანად გავიცნობო, რომ ხრინწიანი ხმა მოესმა ზედ მის ფანჯრის პირას — „ვიბარებ ბოთლებს, სტეკლოპლასტმასას!.. ვიბარებ ბოთლებს!..“

დაიწყო და აღარ გაჩერდა. თენგომ წინა დღეს გამოცლილი ორი ლუდის ცარიელი ბოთლი გადააწოდა ფანჯრიდან, იქნებ გაჩუმდესო და თან მიაძახა, ფული შენთვის დაიტოვეო. გაკვირვებულმა, ხმელი პირისახის, გაუპარსავმა ბოთლების ჩამბარებელ-შემგროვებელმა „სპასიბაო“ ჩაილაპარაკა, ორი წუთი, სანამ უზარმაზარ ცელოფნის ტომარაში ჩატენიდა ბოთლებს, რაღაც გაურკვეველ ენაზე წაიმღერა და ისევ მოაღო პირი — „ვიბარებ ბოთლებს!!!“ და ღრიალ-ღრიალით გვერდით ეზოში გადაინაცვლა.

ხელ-პირის დაბანას მორჩა და ქალის გამყინავი ხმა გაისმა — „მალინა, ეჟევიკ, მალინააა!!!“ იმანაც კარგა ხანს იყიყინა, სანამ ზედა სართულიდან ვიღაცამ თოკზე გამობმული პაწაწკინტელა კალათი არ ჩამოუშვა, „მალინა-ეჟევიკი“ იყიდა და ქალიც დაწყნარდა. ისიც გვერდითა ეზოში გაუჩინარდა და იქიდანაც კარგა ხანს ისმოდა მისი გამყინავი ხმა.

„მალინა-ეჟევიკი“, „ვიბარებთ-კონდენციონერებმა“, შემდეგ „ჯართს ვიბარებ“, ამის შემდგომ „მაწონი-მალაკომ“ შეცვალა და თენგიზიც შუბლზე სველი ტილოთი და ყურებში ბამბებგაჩრილი სავარძელში მიესვენა. ასე გაგრძელდა მომდევნო დღეებშიც დილაუთენიიდან საღამომდე.

ერთი ხანობა იფიქრა, ალბათ, აქაურები შეჩვეულნი არიან და დრო გავა, მეც შევეჩვევიო. მაგრამ ნურას უკაცრავად — ცათამბჯენში გატარებულმა სიცოცხლის თითქმის ნახევარმა ვერ გაითავისა პირველ სართულზე ახლადგადმოსული კაცის ცხოვრების რიტმი და თენგიზიც მიხვდა, თუ რაიმეს ვერ მოიფიქრებდა სასიკეთოს, შეიძლება ფსიქიკა შეცვლოდა, ანუ ქალაქურად რომ ვთქვათ, „გაერეკა“.

ერთ დღესაც რამდენიმე მეზობელი სახლში შეიპატიჟა — ახალმოსახლეობა აღვნიშნოთო და მესამე სადღეგრძელოს შემდეგ, მორიდებით შეაპარა თავისი გაჭირვების შესახებ. ორმა (პირველსართულელებმა) მხარი აუბა, ერთმა ზრდილობის გულისთვის კვერი დაუკრა — მეც შევწუხდი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არისო, მხოლოდ ბოლო სართულიდან მოპატიჟებულმა ბესომ აინუნშიაც არ ჩააგდო ახლად გადმოსული თენგიზის გაჭირვება — მე ძმაო, სპეციალურად გადმოვედი ამ უბანში, ეს ხომ ძველი თბილისის ნოსტალგიააო.

იწუწუნეს, ცოტა ღვინოც ყლურწეს, როგორც წესი ქალებიდან პოლიტიკაზე გადავიდნენ, პოლიტიკიდან (ბარემ რაღაი ვიგინებით, ბოლომდე ვიგინოთო) ფეხბურთზე და დაშლისას გადაწყვიტეს, რომ ბატონ თენგიზს, როგორც ადრე კარგ თანამდებობაზე ნამუშევარ კაცს და ახლა ძირითადად უსაქმურსა და სახლში მჯდომს, ეზოს ამხანაგობის თავმჯდომარეობა ეკისრა. რახან „ვლასტი“ ექნებოდა, ამ საქმისთვისაც მოევლო. მერე დღეს კრება ჩაატარეს, თენგიზი ამხანაგობის თავმჯომარედ აირჩიეს და მესამე დღეს კოხტად გაპარსულ-გამოპრანჭული ორ ფურცელზე ჩამოწერილი მოთხოვნებით პირდაპირ გამგეობისკენ გააცილეს.

ახალგაზრდა ჩინოვნიკმა გულდასმის წაიკითხა ეზოს მაცხოვრებელთა, ანუ ამხანაგობა „ძველი ქუჩის“ (სახელი სახელდახელოდ შეარჩიეს) მოთხოვნები. ოთხიდან სამს ე. წ. „პტიჩკა“ დაუსვა, ხელმეორედ გადაიკითხა, შემდეგ მოადგილეს და უბნის კურატორს უხმო და თენგიზის თანდასწრებით ომახიანად განაცხადა: — ჩვენ დაქვემდებარებაში შემავალი ამხანაგობა „ძველი ქუჩის“ მოთხოვნებიდან, პირველი — სახურავის შეკეთება, მეორე — ეზოს მოპირკეთება, მესამე — სანიაღვრის გაწმენდა აუცილებლად მოგვარდება, თან 70-პროცენტიანი თანადაფინანსებით, ხოლო რაც შეეხება — სათვალე გაისწორა და კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაიკითხე, რამე ხომ არ მეშლება — ჰო, რაც შეეხება მეგაფონებით „ვიბარებთ ჯართს“ და „მალინა ეჟევიკი“... ვა ეს რა უბედურებაა, ნუ რაც არის... რაც შეეხება მეოთხე საკითხს, უნდა მოგახსენოთ, ბატონო თენგიზ, რომ თავს ზემოთ ძალა არაა. უჭირს ხალხს, ზოგი წიგნებს ყიდის, ზოგი ჯართს იბარებს, ზოგი რა ვიცი... ბოდიში მომითხოვია და ბოზობს... ასე რომ, ჩვენ ვერ დავუშლით. ისევ თქვენ უნდა მოიფიქროთ რამე და ისიც კანონის ფარგლებში. ჩვენ რაც შეგვიძლია ისაა, რომ ვუჩივლოთ, მერე ზედმეტი შემოსავალი დავუბეგროთ, მაგრამ რას დაუმტკიცებ მარო ბაბოა თუ შუშანა დეიდა, რამდენი კილო ეჟევიკი გაყიდა, ჩეკის ამოსარტყამს ხომ არ მოვთხოვთ, არა?! ანდაც ვიღაცამ ხომ უნდა გააკონტროლოს, ესეც ზედმეტი შტატია, მოკლედ, მოელაპარაკეთ, შეკრიბეთ ერთად, დღეები დაუწესეთ, საათები და ეს საკითხიც მოგვარდება.

— ეს, როგორ, ბატონო!

— როგორ და გრაფიკი შეადგინეთ, ხელი მოაწერინეთ და ვინც დაარღვევს, უკვე უფლება გვექნება დავსაჯოთ, ანუ ზომები მივიღოთ, როგორც სამსახურებრივი განაწესის დარღვევისათვის.

მთელი ღამე ადგენდნენ მრგვალ მაგიდასთან ლუდი „ზედაზენის“ თანხლებით ამხანაგობა „ძველი ქუჩის“ წევრები გრაფიკს და დაადგინეს: „მალინა-ეჟევიკი“ დილის საათებში სეზონის მიხედვით, „ვიბარებთ ჯართს, კონდენციონერებს, მაცივრებს“ — კვირაში ორჯერ შუადღისას, ერთხელ მეგაფონით, ერთხელ მეგაფონის გარეშე. „მაწონ-მალაკო“ — ყოველდღე, ოღონდ, ნახევარი ტონით დაბალი ხმით, „მწვანილეულობა“, „ვიბარებთ ბოთლებს“ — ყოველდღიურად, ხმადაბლა და შევაჭრების გარეშე. ახლა რიგი ყველას ერთად შეკრებისა და მათთვის დანიშნული გრაფიკის გაცნობაზე მიდგა. მეორე დღეს თენგიზმა და მისმა კარის მეზობელმა არტურამ ყველა ხელზე მოვაჭრე და მეორადი ნედლეულების ჩამბარებლები გააფრთხილეს, ქსეროქსზე გადაღებული გრაფიკი დაურიგეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ განრიგის დარღვევის შემთხვევაში სასტიკად დაისჯებოდნენ, თვით გასაყიდი საქონლის კონფისკაციითაც კი. მხოლოდ „ვიბარებთ ჯართმა“ წაიწუწუნა, იქნებ ორივე დღე მეგაფონით ჩამისვათო, მაგრამ მკაცრ წინააღმდეგობას წააწყდა „ამხანაგობის“ წევრთა მხრიდან და ბედს შეურიგდა.

ასე მოაგვარეს მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულიდან თბილისური ეზოს პირველ სართულზე გადმობარგებული თენგიზის მოწადინებით ამხანაგობა „ძველი ქუჩის“ წევრებმა თბილის-ქალაქისთვის ეს მძიმე და ნერვების ამწეწი პრობლემა. იმედია, საქართველოში ჯართი აღარ დარჩება, ეკონომიკა ისე აყვავდება, რომ არც მეორადი ბოთლები აღარ იქნება საჭირო. ხოლო „მალინა-ეჟევიკსა“ და „მაწონ-მალაკოს“ ასაკიანი ქალები გაყიდიან, ისიც დილაობით და უმეგაფონოდ, რაც შედარებით ასატანი და მისაღებია.

**ავთანდილ ბექაური.**

**P. S. როგორც შევიტყვეთ ბატონ ნარმანიას, თბილისის მერს, ამხანაგობა „ძველი ქუჩის“ ინიციატივა ნამეტნავად მოწონებია და ამ საკითხის გატანას და პრობლემის მოგვარებას (რა თქმა უნდა, ბატონ თენგიზსა და მისი ამხანაგობის წევრებს ნოვატორობას არ დაუკარგავს) მერიის პირველსავე სხდომაზე განიხილავს. იქნებ ახლა მაინც გვეშველოს?!**

**ა. ბ.**

## ⊙ პატივგება

## „მოკისკისე ალუბლები“

**ამ დღეებში მწერალთა სახლში გაიმართა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის წევრის, პოეტისა და პუბლიცისტის ნანი საბანაძის პოეზიის საღამო „მოკისკისე ალუბლები“.**

**შეხვედრას უძღვებოდა ახალგაზრდა პოეტი ქეთევან ნათელაძე, რომელმაც ჩვეული მომხიბვლელობით წაიკითხა მისი ლექსები. თვით ნანი საბანაძემ პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლირიკა წარუდგინა დარბაზში შეკრებილთ.**

**მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს მზია ხეთაგურმა, მანანა დანგაძემ, ვაჟა აზარაშვილმა, გივი თოიძემ, ენრიკო ჯანელიძემ, ჟურნალისტმა ინგა შიოლაშვილმა, სტუდენტმა ნატალი გონაშვილმა და სხვა.**

**საღამოს ინიციატორები იყვნენ დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, ამავე ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.**

**პოეზიის საღამოს ამშვენებდა ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის მარინე კოლხიდაშვილის მომაჯადოებელი ხმა.**

**— ეს იყო ერთ-ერთი დაუვიწყარი დღე ჩემთვის, დიდი მადლობა მწერლის სახლს ჩემი მოკრძალებული შემოქმედების დაფასებისთვის, — თქვა ნანი საბანაძემ.**

**მარიკა პოპიაშვილი**

## ⊙ ამერ-იმერი

## დედოფლისწყაროში მექანიკური მორწყვის სისტემა აღდგება

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია დაიწყო.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი გაეცნენ.**

**პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი 4,34 კმ-იანი სადაწნეო მილსადენი, აშენდება სატუმბი სადგური. პროექტის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორი სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს წყლით დაახლოებით 1200 ჰექტარი სავარგულების მოსარწყავად.**

**პროექტის ღირებულებაა 5 000 000 ლარი. „25 წელია რაც საქართველოს საზღვარზე მდებარე სოფელ ფიროსმანში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. ჩვენ დავიწყეთ რამდენიმემილიონიანი პროექტი. 1200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გასარწყავდება, რაც მოსახლეობის შემოსავლის ზრდას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა დავით გალეგაშვილმა.**

## ახალი წლიდან — ახალ სკოლაში



**საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს 1000-ზე მეტი მოსწავლე ახალი წლიდან ახალ, თანამედროვე სტანდარტების სკოლაში გააგრძელებს სწავლას. საქართველოში სოფლის ერთ-ერთი ყველაზე მრავალკონტინგენტიანი საჯარო სკოლის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და რამდენიმე თვეში დასრულდება. სკოლის მშენებლობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი გაეცნენ.**

**თითქმის ათი წელია, სოფელ ლამბალოს მოსწავლეები ოჯახებში მოწყობილ არასტანდარტულ, სასწავლო პროცესისათვის სრულიად შეუფერებელ საკლასო ოთახებში სწავლობენ. სკოლა რამდენიმე ნაქირავებ შენობაშია განთავსებული, სასწავლო ობიექტები ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. მოსწავლეებს ურთულეს პირობებში უწევთ სწავლა, რაც მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახება. ახალი სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია, სადაც გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადგილმდებარეობის სპეციფიკა და ნიუანსები, სკოლას ექნება თანამედროვე გათბობის სისტემა, სპორტული და სააქტო დარბაზები თავისი დამხმარე სათავსოებით, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლასკაბინეტები, სასადილო, 300 კვ.მ-ის ღია სპორტული მოედანი. შენობა ასევე ადაპტირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, სკოლის მთელი ტერიტორია გამწვანდება და კეთილმოეწყობა. ახალი 2016 წლიდან ლამბალოელი მოსწავლეები უკვე ახალ შენობაში გააგრძელებენ სწავლას.**

## ჯალაურთელებს ახალი საბავშვო ბაღი აქვთ

**საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთაში ახალმა საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საზეიმო ვითარებაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ, ვიცე—გუბერნატორმა გიორგი ჭილვარიამ, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ტოშიო კაიტანიმ, ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ტომაშ პერნიცკიმ და გამგებელმა მალხაზ ბაზაძემ გახსნეს. საბავშვო ბაღის მშენებლობა იაპონიის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით მოხდა.**

**აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად იაპონიის საელჩომ გრანტის სახით 90 347 აშშ დოლარი გამოყო. საჭირო ინვენტარის შეძენა კი ჩეხეთის საელჩომ უზრუნველყო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 40 ბავშვზეა გათვლილი და მასში 20 — ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული. საჩხერის მუნიციპალიტეტში სულ 16 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, წლის ბოლომდე რაიონში კიდევ სამი ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნება.**

**ინტერპრესი**

# ინტელექტუალური ცვედნები

**სიტყვა „ცვედანი“ მამაკაცის სქესობრივი უძლურების გამომხატველია. ეს განმარტება იქნებ არც იყო აუცილებელი, მაგრამ, როგორც ბრძენკაცები იტყოდნენ, „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“...**

მხოლოდ სქესობრივი უძლურება რომ იყოს ადამიანთა ერთი ნაწილის სატკივარი, არა უშავდა მაინც, რადგან მათი პირადი პრობლემა იქნებოდა ეს და გაუძლებდნენ, ალბათ, როგორმე. ბოლოს და ბოლოს, არ გაუმხელდნენ ან ნაკლს ვინმეს და არც საზოგადოებრივი რეაქცია შეაწუხებდათ მაშინ. ზოგიერთი ქვეყნისა და ხალხისათვის იქნებ სასურველიც კი იყოს მათში ცვედნების სიმრავლე, რადგან უსაშველოდ გამრავლებულ თვისტომთა დასახლება კი არა, დათვლაც უჭირთ უკვე. აი, ინტელექტუალური ცვედნების მომრავლებაა უბედურება, სადაც არ უნდა იყოს ეს, უსაშველოდ გამრავლებულ ხალხებში თუ ჩვენსავით მომაკვდავ ერთა სიაში შემავალთათვის...

ინტელექტუალური ცვედანი სქესობრივი ცვედანივით კი არ მალავს თავის უბედურებას, პირიქით, ცდილობს ქვეყანას გააგებინოს თავისი ცვედნობა. რატომ, იცით? არ იცის ცვედანი რომ არის და ამიტომ! ეს რომ იცოდეს, ინტელექტუალური ცვედანი კი აღარ იქნებოდა მაშინ!

ინტელექტუალური ცვედნობა ფსიქიკური დაავადებაა, აი, გიჟები რომ არიან, ისე. გიჟი არაადეკვატურია და ამით განსხვავდება ნორმალური ადამიანისაგან, თორემ სხვა მხრივ ჩვენნაირია ისიც: ჭამა-სმაც უნდა, კარგი ცხოვრებაც, პარლამენტის წევრობაცა და მინისტრობაც. ერთი ეგ არის, რომ არ იცის თვითონ ვინ არის: ხან ნაპოლეონი ჰგონია თავი და ხან მაკედონელი, ხან აინშტაინი და ხან შექსპირი. აი, ჯოხიტლეკიაშვილი ან მათაგვერია რომ არის, ამის დაჯერება არ უნდა მიანცდამაინც.

ზოგიერთ ინტელექტუალურ ცვედანს ისეც ემართება, რომ ერთდროულად რამდენიმე ვინმე ჰგონია თავი; პოლიტიკოსიც და მთავარსარდალიც, ისტორიკოსიც და ფილოსოფოსიც, ფსიქოლოგიც და ფილოლოგიც. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე შემთხვევაა და მისგან განკურნებული არავინ უნახავთ ჯერაც. ამიტომ, ამნაირებს საზოგადოება გულისხმიერად უნდა მოექცეს, მისი უბედურება საჯარო ქილიკისა და გატრიზავების საგნად არ უნდა აქციოს. ვინიცობაა ასეთები პარლამენტის დეპუტატებად ან მინისტრებად მოგვევლინენ (ჩვენში ეს ხშირად ხდება!), ერთი ოთხიოდე წელი უნდა მოვითმინოთ, რამენაირად დავმალოთ ისინიც და მათი ნაქნარი საქმეც, რათა ისედაც მოჭრილი თავი კიდევ ერთხელ არ მოგვეჭრას.

აი, მაგალითად, ჩვენს პარლამენტში ზის ერთი უნივერსალური ინტელექტუალური ცვედანი, აი, ის, ყოვლისმცოდნეობის სენი რომ სჭირს. ამას წინათ უთქვამს და დაუწერია: **აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთსო. მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს ერთად აკაკისა და ილიას ძეგლი, მაგრამ არსად არსებობს და აზრად არავის მოსვლია, რომ ერთად დაედგა აკაკისა და ვაჟას ძეგლიო. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ აკაკი ვაჟას შემოქმედებას და პირიქით — ვაჟა აკაკის შემოქმედებას არ აფასებდა, მათ შორის იყო დაძაბული ურთიერთობა, ისინი ვერ იტანდნენ ერთმანეთსო.**

ამის მთქმელი და დამწერი უნდა გეცოდებოდეს, საქვეყნოდ კი არ გაუბაზრო ეს ამბავი! ამ უბედურმა არ იცის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვაჟას შემოქმედება მარგალიტებად მიაჩნდა აკაკის: **„...გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო“**. ვაჟამ კი ასე მიმართა აკაკი წერეთელს მის საიუბილეო საღამოზე: **„მეც ამატირა ბევრჯერა, შენს თვალზე ცრემლის დენამა, ნეტავი ბევრი გაზარდოს, შენისთანები დედამა“**. ინტელექტუალური ცვედანი არაადეკვატური რომ არის, ამიტომაც მიაჩნია დიდი პოეტების ზემოაღნიშნული ნათქვამი სიძულვილისა და შეურიგებლობის გამოვლინებად, თორემ ნორმალური ინტელექტი რომ ჰქონდეს, ამას ხომ სწორად გაიგებდა მაშინ.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ამ ინტელექტუალური ცვედანის მიერ გამოთქმულ „სიბრძნეს“ რომ გავეცანი, გაზეთის ფურცლებზე გამოვეხმაურე და, ჩემი აზრით, დავტუქსე, სისულელის თქმისთვის. რა ვიცოდი მაშინ, ვისთან მქონდა საქმე! პრესასა და ტელევიზიებში მის „ნააზრევს“ რომ ატირაჟებდნენ, ვიფიქრე, მენცარია-მეთქი ეს კაცი.

სხვათა შორის, კაცს რომ „ჭკვიანის“ ან „სულელის“ იარლიყს მიაწებებენ, თოვლის ზვავივით არის ეს: ვიდრე ფერდობიდან არ ჩამოივაკებს და ვაკეზე დახეთქებისას არ დაიშლება, გზადაგზა სულ იზრდება და იზრდება. ამ კაცის „ინტელექტუალის“ იარლიყიც ასეა; უცოდინარების ხარჯზე, როგორც თოვლის გუნდა, ისე იზრდება და ერთი შეხედვით ტყუვდება კაცი. მეორედ თუ დაკვირვებით შეხედე, კი დაინახავ მისი „ინტელექტის“ მთელ სიგრძე-სიგანეს, მაგრამ მანამდე... ჰო, და მეც ასე დამემართა: მენცარი მეგონა და ამიტომ დავტუქსე გაზეთის ფურცლებიდან.

რაში იყო, იცით, საქმე? ერთ-ერთ ინტერვიუში, ამ საცოდავმა ინტელექტუალურმა ცვედანმა განაცხადა: **რაღა დროს დავით გურამიშვილის ნათქვამის დამოწმებაა, იგი სამასი წლის წინ ცხოვრობდაო.** მაშინ გამახსენდა, რომ იგი ანტიკური ლიტერატურისა და ფილოსოფიის მცოდნეობას იბრალებდა და შევუძახე: შე, ოჯახქორო, ორიათას ხუთასი წლის წინანდელ ბერძნებს რომ იმოწმებ შენი უბადრუკი აზრების „განსამტკიცებლად“, სამასი წლის წინანდელი ქართველი გეჩვენება-მეთქი მოძველებულად?! რა ვიცოდი მაშინ მისი უბედურება, თორემ, ამას როგორ ვეტყოდი!

ერთი გიჟი მეზობელი მყავდა, ძველ უბანში რომ ვცხოვრობდი, ახალგაზრდა იყო, საცოდავი. ერთხელ ქუჩაში შემხვდა და ერთობ სერიოზული სახით მკითხა, რომელ წელს ხართ დაბადებულიო. 1941 წელს-მეთქი, — ვუპასუხე. აუჰ. რამდენით უფროსი ვყოფილვარ მეო. როგორ-მეთქი, — ვკითხე. 1975 წელს დავიბადეო, — მიპასუხა. კი ყოფილხარ-მეთქი, უფროსი. აბა, რა მეთქვა. 1975 წელს დაბადებული უფრო ხნიერი რომ ჰგონია 1941 წელს დაბადებულზე, ესაა არაადეკვატური აზროვნება, ანუ ინტელექტუალური ცვედნობა, სხვა კი არაფერი! ჰო და, აბა, მაშინ როგორ მეფიქრა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოლიტიკურ წრეებში სახელგავარდნილი, უმეცარ სტუდენტებში ინტელექტუალურად მიჩნეული კაცი არაადეკვატურია-მეთქი. ვერ ვიფიქრე და ეს მაინცდამაინც სასიკეთოდ არ მეტყველებს ჩემს გონიერებაზე.

სამაგიეროდ, მეორე, ერთობ „პოპულარულ“ კაცზე, რომელსაც თავისთავი ფილოსოფოსი ჰგონია, მის გამოჩენისთანავე საჯაროდ განვაცხადე (პრესაში!): არ ჰგავს ეგ კაცი ნორმალური ჭკუისას და რაიმე საპასუხისმგებლო საქმე არ ანდოთ-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა: აიღეს (დიახ, დიახ, აიღეს!) და განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დანიშნეს! ის ხელისუფლება თვითონ იყო არაადეკვატური და რას შეისმენდა სასიკეთოს (ვითომ ეს ხელისუფლებაა ადეკვატური, აი!). ამას წინათ იმ განათლებისა და მეცნიერების ნამინისტრალმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ინტელექტუალური ცვედნობა: გრიგოლ რობაქიძეს მწერლად არ ვთვლიო, „დათა თუთაშხია“ ძალიან სუსტი ნაწარმოებიაო. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ აქა-იქ ზოგიერთი ეპიზოდი მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ მოსაწონი არაფერია, ხოლო „დავით აღმაშენებელი“ რომ წამეკითხა, საამისოდ ვერ ვაიძულე თავიო.



ამ ინტელექტუალურ ცვედანს კი არ დავცინი, ან კი არ ვსაყვედურობ. არაადეკვატურობისთვის საყვედურის თქმას რა აზრი აქვს. ეს იმას ემგვანებოდა, ერთ კაცს რომ სცემდნენ, რატომ ძმა არ გყავსო. მე იმას ვჩივი, ამნაირი კაცები განათლების მინისტრებად და სხვა მინისტრებადაც რომ მოგვევლინებიან ხოლმე. აი, მაგალითად, ევროპის ერთ-ერთ დიდ ცენტრში ბევრი უცხოელის თანდასწრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა „შალახოს“ მუსიკის თანხლებით რომ მოაწერა ხელი ფურცლების რაოდენობის მიხედვით რაღაც მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტს, რა იყო ის? „შალახო“ ქართული ეროვნული ჰიმნი ეგონა, ალბათ! ჰიმნი თუ არა, ჩვენი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების სიმბოლო მაინც! მინისტრის ამ საქციელს ადეკვატური კაცი ადეკვატურობას ვერ უწოდებს.

**ევროპის ერთ-ერთ დიდ ცენტრში ბევრი უცხოელის თანდასწრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა „შალახოს“ მუსიკის თანხლებით რომ მოაწერა ხელი ფურცლების რაოდენობის მიხედვით რაღაც მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტს, რა იყო ის? „შალახო“ ქართული ეროვნული ჰიმნი ეგონა, ალბათ! ჰიმნი თუ არა, ჩვენი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების სიმბოლო მაინც! მინისტრის ამ საქციელს ადეკვატური კაცი ადეკვატურობას ვერ უწოდებს.**

ქართულ სატელევიზიო არხებზე, შოუ-ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სოკოებივით მომრავლებულ ათასი ჯურის „ექსპერტთა“ შორის ინტელექტუალური ცვედნების დიდი სიმრავლეა. მაგრამ არა მგონია, ამით სხვათაგან დიდად გამორჩეულები ვიყოთ. სხვებსაც ბლომად ჰყავთ ასეთები, მაგრამ ინტელექტუალურ ცვედნებს ხალხის ბედს რომ ანდობდნენ ისე „უპრაგონოდ“, როგორც „აქ, ამ ქვეყანაში!“ არა მგონია, ამაში ვინმე გაგვეჯიბროს...

ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც არაერთხელ მომხდარა, გრიპის ეპიდემია დაგვემუქრა. გრიპის გავრცელების კვირაძალზე, მაშინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ტელევიზიით გამოვიდა და დაგვზაფრა, უჰ, ბოდიში, გაგვაფრთხილა: ახლა ისეთი გრიპი შემოდის ჩვენში, რომ ყოველი მესამე კაცი მოკვდებაო (თვითონ მერამდენე იყო რიგში, არ უთქვამს!). იმ გრიპს, მგონი, არც არავინ უმსხვერპლია, მაგრამ ამ არაადეკვატური, ანუ ინტელექტუალური ცვედნის „გაფრთხილებამ“ კი ბევრს გაუხეთქა გული. ხალხმა რა იცოდა, რომ მინისტრის სავარძელში შეიძლებოდა არაადეკვატური, ანუ ინტელექტუალური ცვედანი მჯდარიყო.

ახლა, თუმცა ასე აღარავინ ფიქრობს ჩვენში, მაგრამ ეს უკვე მეორე, არანაკლები უბედურებაა: ხალხმა დაიჯერა, რომ სრულიად ნორმალური მოვლენაა, როდესაც პარლამენტის დეპუტატის, მინისტრის, ანდა, კიდევ უფრო მაღალ პოსტებს არაადეკვატური, ანუ ინტელექტუალური ცვედნები იკავებენ...

აგერ ცოტა ხნის წინათ, ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტი იმ ქალს ანდეს, რომელსაც ნორმალურ ოჯახში ორ ერთნაირი ფერის ბატს არ ჩააბარებდნენ: ერთ-ერთს უთუოდ დაკარგავდა და იმიტომ! ამ ამირსპასალარმა ქალმა კი შეიძლება მთელი ქვეყანა დაგვაკარგვინოს, მაგრამ, რა? ხალხმა ისე მიიღო ეს ამბავი, თითქოს სადღაც ჭიორასა თუ ოზაანში მავანის ძროხა გაბერწებულიყოს და მეტი არაფერი! არა და, ახლახან ისეთი „მამაცური სიბრძნე“ დაახეთქა ჩვენმა ამირსპასალარმა, რომ იმ ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის გაფრთხილება ერთობ ჭკვიანურად მოეჩვენება კაცს. ა, ბატონო, თუ არ გჯერათ: **„თუ კი საქართველოში 2008 წლის მსგავსი მოვლენები განვითარდა და ევროპა და ამერიკა ისევ ისეთ ნაკლებ ყურადღებასა და მხარდაჭერას გამოიჩენს, ჩვენ, ყველანი, გმირულად დავიღუპებით“**-ო. ამის მთქმელი თავდაცვის მინისტრი, ვისაც ნორმალური ჭკუისა ჰგონია, უეჭველად, თვითონაც არაადეკვატური, ანუ ინტელექტუალური ცვედანია! არა და, არიან ასეთები. ასე რომ არ იყოს, ამირსპასალარის პოსტზე ვინ დააბრძანებდა იმ ქალბატონს. არც არავინ, თუმცა...

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ სტატებში საქართველოდან პარალელურად ორი დელეგაცია ცალ-ცალკე გაემგზავრა. ერთ მათგანს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ხოლო მეორეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა.

ორი დელეგაციის გამგზავრება მიგვანიშნებს, აშკარაა, რომ ხელისუფლებაში არაადეკვატურები, ანუ ინტელექტუალური ცვედნები მრავლად არიან, თუ არა და მაშინ... თუმცა ამით, არსებითად არაფერი იცვლება. სახელმწიფო ჩვეულებრივი მანქანის მექანიზმივითაა: ერთი დეტალიც რომ იყოს შეუსაბამო (უვარგისი!), მექანიზმი არ იმუშავებს. ჩვენი სახელმწიფო მანქანა რომ ვერ მუშაობს, ამის დანახვას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ან როგორ იმუშავებს, ნეტავი, როდესაც, თავადურ ჩოხაში გამოწყობილი ქვეყნის მთავარი (?!) „მემანქანე“, თავის საგარაკო მამულში შვლის ნუკრთან თამაშით ერთობა. იმ შვლის ნუკრის ადეკვატურობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მთავარი „მემანქანის“ ადეკვატურობა ერთობ საეჭვოა...

აქამდე რაც ვთქვი, იმას ყველა თუ არა, ნაწილი ხალხისა მაინც დაიჯერებს, მაგრამ რასაც ახლა ვიტყვი, არა მგონია, ვინმემ დამიჯეროს...

ჩემს ბავშვობაში და ბიჭობაშიც სულ მეგონა, რომ ვინც ჭკვიანი იყო, მდიდარიც ის იქნებოდა. ამას მიჩიჩინებდა ცხონებული ბებიაჩემიც. სტუდენტობისას სპარსულმა პოეზიამ გამიტაცა და შუა საუკუნეების ერთი დიდი პოეტის ნათქვამი ლექსი დამამახსოვრდა, განსაკუთრებით: **„ნარგიზი და ვარდია, გონება და ქონება, ერთად რომ არ ხარობენ. ალბათ გაგეგონებათ, ვისაც აქვს ქონება, მას გონება არა აქვს, ვისაცა აქვს გონება, მას არა აქვს ქონება!“** ახალგაზრდობაში აქ გამოთქმული სენტენციის არსს ვერ ჩავწვდი: ინტელექტის დეფიციტს თუ განიცდის კაცი, მილიონებს, როგორღა იშოვნიდა-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ვცდებოდი, თურმე! ინტელექტუალური ცვედნები მდიდრდებიან ყველაზე ადვილად, თურმე, რადგან მათთვის ზნეობრივი ბარიერები არ არსებობს, მათთვის ყველაფერი დასაშვებია. სირცხვილისა და ცოდვის ცნებების შინაარსი მიუწვდომელია მათი ცვედანი ინტელექტისათვის, ამიტომაც არ აწუხებთ სირცხვილის გრძნობა და ცოდვის განცდა. უამისოდ კი, — ნოდარ დუმბაძის ერთი ბრძენი მეზობლის ნათქვამისა არ იყოს, — იოლია ცხოვრება. აქვე, ცხონებული ბაბუაჩემის დარიგებაც უნდა გავიხსენო: **„იოლი ცხოვრება, ძალიან მძიმედ მთავრდება, ბაბაია, ბოლოს!“**

**ზურაბ ცუცქირიძე**

## შენ ყოველღამე ტირიხარ თურმე

**ვუძღვნი პოეტსა და ჟურნალისტს მარინე თექთუმანიძეს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ამერიკაში საარსებო საშუალების მოსაძიებლად წავიდა**

შენ ყოველღამე ტირიხარ თურმე,
თუმც ეკიდები საქმეს გაგებით,
შენ ვეღარ უძლებ უმძიმეს ურვას,
ძლივს გამხნევებენ ამხანაგები.
დღეს სხვა ეპოქა რიალებს ირგვლივ,
რა ეპოქებმა ჩაიგრიალეს!
აქ ვიღაც უცხო იდგამს შენს გვირგვინს,
შენ კი წუხილით სადღაც წრიალებ!
აქ სულ უცხოთა გუგუნებს გუნდი,
აქ სხვა სტუმართა გუნდი გუგუნებს,
ჩვენ გვეძახიან უსაქმურთ, უნდილთ,
გაგვიუცხოვდა ეს საუკუნე,
და ჩემი გულის, და ჩემი სისხლის
ტივი შევკარი ვაზის ლერწებით,
უკვდავების და დიდების ღირსი,
დღეს ვიღას უნდა ჩვენი ლექსები.
აივანს ძველი მოერყა კიბე,
გარშემო ყრია თეთრი რიკული,
ვერა, ვერაფრით ვერ ავირიდეთ,
გზები შორეულ – ამერიკული!
არ გვეცხოვრება აქ, ჩვენს მიწაზე,
აქ საცხოვრებლად სხვები მოდიან,
ჩვენ უცხოური გზები გვიტაცებს,
მაგრამ იოლი თურმე როდია?!
არც ჩვენი შრომა არა ღირს ჩირად,
ჩვენს დაფასება შრომას როდი აქვს,
ჩვენ უცხო ქვეყნის მოახლეედ მივალთ,
აქ საბატონოდ სხვები მოდიან.
ასე მგონია ჯურღმულში ვზივარ
ირგვლივ უსაზღვრო რაღაც კბოდეა,
ჩვენ უცხოეთში ტირილით მივალთ,
აქ კი სიცილით სხვები მოდიან!

* * *

ისე ბრწყინავს მზე მყინვარზე,
თითქოს ოქროს ქამარია,
შეგაჟრჟოლებს თრიალეთის აპრილი და
თეთნულდიდან დანახული ლამარია!

შეგაჟრჟოლებს ირმის წყარო,
და კლდიანი სანახები,
და უშგულის ლურჯი ზეცა,
დაწინწკლული
ენგურიდან ასხლეტილი კალმახებით!

* * *

ვინ რას გაიგებს რომ ეს დილა
სადავეს მართმევს
და წინ-წინ გარბის,
მოხატული ათასი ფრესკით...
ან ჩემს ტკივილებს ვინ რას გაიგებს!
მე კი ხელიდან გამექცევა პატარა ლექსი
და ქუჩა-ქუჩა,
ნაწილ-ნაწილ,
ჩამომარიგებს!

## კვლავ დგას გაზაფხული

**რუსუდან გვათუა-ჯანდიერის ხსოვნას**

ფიქრით დათალხული პირჯვრის
გადასახავად,
იდგა გაზაფხული და ფერისცვალება...
ეს მოულოდნელი იყო გარდასახვა,
არაფრით არ ჰგავდა ეს
გარდაცვალებას!
დღეს შენს მონატრებას არ უჩანს
სამანი,
გზაზე წვიმს ვარდები და იასამანი...
და როცა ინთება მთვარე ვით კანდელი,
შენს ლამაზ სურათთან ციმციმებს
სანთელი...
და გადგას ნათელი...
პატარა სანთელი და დიდი სათქმელი



**მთვარისა კერესელიძე**

# ცოტაც რომ გამაძლებინო...

კვლავ გულში უნთია შენს ნატვრის
თვალებად
(...და დგას გაზაფხული და
ფერისცვალება!)
უჭირს შენს მეუღლეს ცალ უღლის
ტარება...
...დღეს შენს მონატრებას არ უჩანს
სამანი...
გზაზე წვიმს ვარდები და იასამანი.

* * *

გადამიყოლა მძიმე შრომამ და
დავთმე გომური,
კარზე მსახურად ქარი მომადგა,
შემოდგომური –
მაღალ სარკმელში მიზერავს, მისტვენს...
და სადღაც ჩქარობს,
ცოტა მაცალე, მარტო ვარ ისეც,
რა გინდა, ქარო!

## გრგვინავენ ძენი...

ზეცა განრისხდა, მოირკალა,
ვითარც დემონი,
გრგვინავენ ძენი უქონელნი,
უუფლებონი!
მგლისფერი ბალნით იმოსება
მგლისფერი ციხე...
ჩვენ გვაბრძოლებენ ლუკმაპურისთვის,
ცა იგრაგნება და საავდრედ ქარიშხალს
იხვევს,
კვლავ მშობლიური ქვეყნის,
რჯულისთვის!
ზანზარებს ბჭენი –
ვითარც დემონი,
გრგვინავენ ძენი უქონელნი,
უუფლებონი!

## წმინდა თმებით შეკრულო

გზარდე, გელოლიავე
გეალერსე წლებით,
სად არ ავაშრიალე
შენი ლურჯი ზვრები...
თითო ძირი რა არის,
ვზარდე თითო ლერწი,
შენი მცირე იარაც
მეწვის!
გულზე გადამიარა,
შაჰ-აბასმა, თემურმა,
მერე ძეძვმა, ხვიარამ
ერთიანად შემმურა!
იყო მტერთა კრებული,
არ დაგვინდო მურვანმაც
შენგან განდიდებული
მზემან დამაურვა და...
ხან გიკურთხე ნაჟური,
დაგიკოცნე ფესვი,
მერე მზე, შესაშური,
შენი ლერწით შევსვი...
ახლა გეძებ, საით ხარ? –
ნუ მომისჯი ლოდინს!
შენი ლერწით განიხვნა
ჯვარით კლდეზე ლოდი!
შენ იყავი ბახუსიც,
ქვეყნის ბჭე და რიდე,
ერის სინდის-ნამუსი
ღირსეულად ზიდე,
ბევრჯერ გადაშენებას
შენვე აგვარიდე!
გზარდე, გელოლიავე,
გეალერსე წლებით,
ლოცვით ავაშრიალე
შენი ლურჯი ზვრები...
შენი ლოცვა-კურთხევით,
გავაცოცხლე სოფელი,
ლექსიც გითხარ, სიმღერაც,
გითხარ საგალობელიც...
ამოგკვეთე ტაძრებზე,
ქვის კედლებზე გხატე,
შენივ მტევნის ნაჟურით
შეგავედრე ხატებს!
წმინდა თმებით შეკრულო,
ვაზო, ნინოს ჯვარო,
რწმენაც შენ ხარ, მეგზურიც,
სასიცოცხლო წყაროც!

## მოდინახეზე

მოდინახეზე იისფერი ანთია ცეცხლი,
მოდინახეზე გაზაფხული ლურჯად ანთია,
მოდინახეზე ცაა ერთი
გაფრენა მერცხლის,
რა ეშველება ასეთ განთიადს!
აქ ბრწყინავს ცეცხლი,
იისფერი და ზეციური,
და მთვარის ვერცხლით იმოსება
ამქვეყნიური...
მოდინახეზე ზეცა კიაფობს...
ბრწყინავს ვარსკვლავი საგანთიადო...
მთა ხოხობივით ელოდება ახალ
განთიადს,
მოდინახეზე იასამნის ცეცხლი ანთია!

* * *

სულის განწმენდა უთუოდ გვმართებს,
ჩაგვსახლებია რადგან სატანა,
დაგვვიწყებია, ღმერთმანი, ქართველთ,
ერთმანეთის და მოძმის გატანა!
აქ ოქროს წვიმებს ისევ ელიან,
ცად აღმართულა მთაზე სამება,
გაბრწყინებული მოჩანს ელია,
დიდება, ძეგლი და უკვადავება!

* * *

ისევ დავეძებ დაკარგულ მოყმეს,
შამილის ქოხთან დევს ქვამარილი,
არ ვიცი, რომელ გრიგალში მოვყევ
ან რა მირონით ვარ განბანილი!
დაწყდა ძაფები ციდან, გრძნეული,
ეს დღეც მძვინვარე ისევ ალმურობს,
სიცოცხლე ჩემი, მიტოვებული
უიალქნოდ და უსალამუროდ...
თქვენც, მაცხოვარო წმინდა მამანო,
მარიამობის მზით განბანილნო,
ქარი სარკმელთან იასამანობს,
რომ საბოლოო მითხრას ალილო...
არ მახსოვს რომელ წვიმაში მოვყევ,
მამულის ცრემლით სავსე მაქვს გული,
ისევ დავეძებ დაკარგულ მოყმეს,
კვლავ ცრემლებისთვის ვარ განწირული!
მაწვიმს ტკბილ-მწარე მამულის წვიმა,
მოუხვევია ცას მიწის ბური,
თითქოს სტამბულის ბაზარში ვზივარ,
გაყიდული და მიტოვებული!..

* * *

ცოტაც რომ გამაძლებინო,
ჩემო აპრილის მთვარეო,
ხანდახან გამომინათე,
ხანდახან გამახარეო!
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
ვარსკვლავნი მაინც ვთვალეო,
დღეს თუ ვერ დავთვლი ყოილთა,
ისევ დავიწყებ ხვალეო!
რომ არ ჩამიქრეს სინათლე,
მზეც მინათებდეს ბარეო,
ხანდახან გამომინათე,
ჩემო აპრილის მთვარეო!

* * *

დასიცხულები დგანან ოდები...
...და მზის გარუჯულ სამხრეთულ
მინდვრებს,
უზერავს ქარი თავგამოდებით...
ქუჩაში დააქვთ ზეთისხილის მწიფე
ტოტები...
დააქვთ და
...ამ მწველ სამხრეთულ მზეზე
ცხელი ქარები დააბოტებენ...
და ამ ქარებში დალალები დაშლია
ტირიფს...
და ვიღაც ტირის, გრძნეული, ამ დროს
ბინდი ჩამოწვა, ცა რომ გამუროს,
წიქარამ გზაში რომ გადააგდო,
ის სალამური კვლავ სალამურობს!

* * *

მე უმძიმესი ცხოვრება მქონდა,
მე უმძიმესი გზებით ვიარე,
ჩემს გარშემო სულ გრიგალი ქროდა,
ახლაც ისევე ქარი გრიალებს...
მე უმძიმესი ცხოვრება მქონდა,
მე უმძიმესი გზებით ვიარე!

* * *

ვინ დამითოფა კარი წუხელის,
ან რა გრიგალი შემომეყარა,
რატომ დამადგი მძიმე უღელი,
რომ ცხოვრებაში არ გამეხარა?!

ქარი გრიალებს, ლურჯად ატეხილ,
ჭალებს გადუვლის მიდის, მიღელავს,
გიკვირს, – ქალი ვარ თუ კლდის ნატეხი,
გიკვირს მამულო ჩემი სიმღერა?

სადღაც ალვების მწკრივი ირხევა,
უდაბნოს უღრენს ლომი ბებერი,
გაუტეხელი კაჟის ციხე ვარ,
მტერ-მოყვრისაგან აუღებელი.

რატომ დამადგი მძიმე უღელი?
დავდივარ, დამდევს მტერი ვერაგი,
ვარ მეომარი ჯაჭვგაუხდელი,
ძილშიც მაცვია ჯაჭვის პერანგი!

* * *

გასრულდა ერთი ფურცელი
ჩემი ცხოვრების დაისის,
ვით შემოდგომა უცვლელი,
უჭკნობი ედელვაისი.
გაუხარელი, გზაწვრილი
მდევდა ცხოვრება ბულითა,
და ხოხობივით დაჭრილი
ლექსი მდიოდა გულიდან!

**აწმყო შობილი წარსულისაგან**

# გაეროს 70-ე გენერალური ასამბლეა




**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 70 წლისთავის იუბილეს აღნიშნავს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაცია იღებს მონაწილეობას გაეროს საიუბილეო ღონისძიებებში, მათ შორისაა საქართველოს დელეგაციაც, უფრო სწორად საქართველოს ორი დელეგაცია — ერთს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, მეორეს — პრეზიდენტი.**

ერთი ქვეყნის 2 დელეგაციით წარდგენა გაეროში ის „ნოვაციაა", რომელიც უდავოდ მიიპყრობს მსოფლიო ორგანიზაციისა და მასში შემავალი 193 ქვეყნის ყურადღებას. არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანმა გადაიღოს ეს „უნიკალური" მაგალითი და შემდგომ სესიას ორი ან სამი სახელმწიფო დელეგაციით დაესწროს.

დიახ, არაფერია გამორიცხული, თუმცა რამდენად გაგებით შეხვდება ამას ქართველთა მიმდევარი ქვეყნის საზოგადოება ან პარლამენტი და დართავენ თუ არა ისინი მთავრობას სახელმწიფო ფულის ფუქსავატური ხარჯვის, უდავოდ „შესაშურ" მაგალითს, სხვა საქმეა. მაინც რა „გონებაშეზღუდული და უსუსური" საზოგადოება და პოლიტიკოსებია უცხოეთში, ისიც კი არ შეუძლიათ, ქართველთა მსგავსად 2 დელეგაცია აფრინონ ნიუ-იორკს.

**„ზედმეტი ხარჯიაო, განა ერთს არ შეუძლია ჩანაფიქრის თქმა გაეროს ტრიბუნიდან და ორი რა საჭიროაო", — ამბობენ „გონებადახშული" გაეროს წევრი ქვეყნები. საბედნიეროდ, „გონებაგახსნილთა" შორის მხოლოდ ჩვენ ვართ, რაც უდავოდ საამაყოა. საამაყოა გაეროში ორი დელეგაციის წარგზავნა — ერთობ შთამბეჭდავი, თავისი რიცხოვნობითაც.**

დიდი ხელგაშლილობა გვახასიათებს, ცხადია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, თორემ პრეზიდენტი და პრემიერი საკუთარი ფულით რომ მოგზაურობდნენ, მაშინ სათქმელიც არ იქნებოდა. უნდათ და მოგზაურობენ, მაგრამ გაეროში, თანაც საიუბილეო ასამბლეაზე დუეტად, საკუთარი ხარჯებით გამოჩენაც კი უხერხულია. გაიგებს ამას საქართველოს პოლიტიკა?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაეროს გენერალური ასამბლეა მომავალ წელს აღარ გაიმართება. მართალია, ის არასაიუბილეო, 71-ე იქნება, მაგრამ ხომ გაიმართება. და რახან ასეა, წელს ერთს მიეღო მონაწილეობა, მომავალ წელს — მეორეს. ორივე მოასწრებდა (ვიდრე ხელისუფლებაში არიან) ნიუ-იორკში ჩარბენას, მითუმეტეს იმის თქმას, რასაც მხოლოდ პროტოკოლისთვის აქვს მნიშვნელობა და არა რეალური საქმისთვის.

გაეროს გენერალური ასამბლეა არ არის ის ორგანო, რომელიც ოპერატიულად წყვეტს მსოფლიოს ან ამა თუ იმ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. გაეროს გენერალური ასამბლეა არ არის უშიშროების საბჭო — მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ორგანო, ომისა და მშვიდობის ურთულესი საკითხების მომგვარებელი. სწორედ ამ ორგანოს ფუნქციონირებას ექცევა უდიდესი ყურადღება გაეროს წევრი სახელმწიფოების, განსაკუთრებით აშშ-ს და მისი თანამგზავრი ქვეყნების მხრიდან.

ყურადღების მიქცევა, უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულებას, სხვა საკითხებს რომ ეხებოდეს, მისასალმებელი იქნებოდა, მაგრამ ესოდენი ყურადღება, ცხადია კრიტიკაში გადასული, სულ სხვას ნიშნავს, სხვა მიმართულებას გულისხმობს, რომელშიც უმთავრესი, არსებულის შეცვლაა, ანუ იმის, რამაც მსოფლიოს 70 წლის უომო პაუზა არგუნა.

გაეროს დაბადებიდან (1945 წელი) დღემდე არაერთ ომს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მათი მასშტაბები აშკარად ჩამოუვარდებოდა მეორე მსოფლიო ომისას. და რომ ეს ასეა, უდიდესი წვლილია გაეროს უშიშროების საბჭოსი და იმ სისტემის, რომელიც „დიდმა სამეულმა" შექმნა (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) და რომლის შეცვლას დაბეჯითებით ლამობს იმ „სამეულიდან" ორი - აშშ-ი და დიდი ბრიტანეთი.

საქმე უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების მიერ ვეტოს გამოყენების უფლებას ეხება. 70 წლის განმავლობაში მოქმედებდა ეს წესი, რაც ნიშნავს იმას, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების კონსენსუსით შეიძლება სხდომაზე დასმული საკითხის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში რეზოლუციის პროექტი, პროექტად დარჩება.

თუ ხუთი მუდმივი წევრიდან (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და საფრანგეთი) თუნდაც ერთი, პროექტის წინააღმდეგია, მას შეუძლია ვეტოს დადება, რაც ნიშნავს საკითხის ჩაგდებას.

აი, სწორედ ვეტოს გამოყენების გაუქმების წინადადებით გამოდის აშშ-ი და მისი პარტნიორი დასავლეთის ქვეყნები. გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების რაოდენობის გაზრდას. სავარაუდო წევრად მოიაზრებენ გერმანიას, ბრაზილიას, ინდოეთს, ...

უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდა, თან ვეტოს მოხსნა გამოიწვევს აშშ-ს და მისი მოკავშირეების პოზიციების ისეთ გამყარებას, რომელიც თავისთავად წაგებული ქვეყნის მდგომარეობაში მოაქცევს სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთს, ხელს გაუხსნის დასავლეთს უშიშროების საბჭოზე ნებისმიერი საკითხის თავის სასარგებლოდ გადაჭრაში. რომ იტყვიან, ბრძოლაა მენტალური, 70 წლის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ვერადავერ გადაწყდა სწორედ იმ „ვეტოს" გამოისობით.

„ვეტოა" ის აქილევსის ქუსლი, რომელიც ვერ გადალახა აშშ-მა. „ვეტოა" ის ძირითადი დასაყრდენი რუსეთისთვის და არა მარტო მისთვის, რამაც დღემდე მოიყვანა უშიშროების საბჭოს სისტემა — მიღებული „დიდი სამეულის" მიერ.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში „ანტიჰიტლერულ კოალიციაში" გაჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებისთვის ხელის შეწყობა. ეს ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო უფრო ეფექტიანი, ვიდრე „ერთა ლიგა", რომელმაც ვერაფრით მოახერხა მოსალოდნელი მეორე მსოფლიო ომის შეჩერება.

„ერთა ლიგის" კრახი გამოიწვია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უკუღმართმა პოლიტიკურმა კურსმა, რამაც ფართო ასახვა პოვა „ერთა ლიგაზე". აშშ არ იღებდა „ერთა ლიგის" მუშაობაში მონაწილეობას, მაგრამ მისი პოლიტიკური კურსი არ ქმნიდა გერმანიის აგრესიული გეგმების საწინააღმდეგო ხერგილებს, უფრო მეტიც, აშშ-ს მსხვილი კაპიტალი უშუალოდ მონაწილეობდა გერმანიის სამხედრო-სამრეწველო კონცერნებში, რითაც ეხმარებოდა გერმანიას ომისთვის საჭირო იარაღის წარმოებაში.

ვეტოს საკითხი გადაწყვიტა იალტის კონფერენციამ. თვით რუზველტმა — აშშ-ის პრეზიდენტმა, წამოაყენა წინადადება, რაც თავიდან ბოლომდე იზიარებდა სსრკ დელეგაციის მეთაურ სტალინის წინადადებას, რომ ომისა და მშვიდობის საკითხები უნდა გადაეწყვიტა უშიშროების საბჭოს. მანამდე ვაშინგტონი და ლონდონი ირწმუნებოდნენ, რომ ეს საკითხი გენერალურ ასამბლეას უნდა მოეგვარებინა და არა უშიშროების საბჭოს. მიზანი მათი იყო მარტივი — ასამბლეაზე მეტი მხარდამჭერის მოპოვება და საკითხის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა.

რთულად წარიმართა ამ თემაზე მოლაპარაკებები, მაგრამ საბოლოო ჯამში, სტალინის შეუვალმა პოზიციამ მხარდაჭერა პოვა, აშშ-ის დელეგაციის მეთაურ პრეზიდენტ რუზველტში. საბოლოო ჯამში გადაწყდა: „გაეროს გენერალური ასამბლეა იხილავს ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს ან ჯგუფი სახელმწიფოების მიერ შეტანილ ნებისმიერ საკითხს, მაგრამ არ იღებს სავალდებულო გადაწყვეტილებას, ანუ მისი გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს — მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა, თუ ხუთივე მუდმივი წევრი მხარს დაუჭერს წინადადებას".

1945 წლის 25 აპრილ-26 ივნისის გაეროს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე მიღებულ იქნა სსრკ, აშშ, ინგლისის, საფრანგეთის და ჩინეთის ერთობლივი განცხადება საპროცედურო საკითხებთან დაკავშირებით. შეიქმნა მთელი რიგი სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც უნდა შეემუშავებინათ მსოფლიო ორგანიზაციის მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტაცია; გადაეწყვიტა ტექნიკური საკითხები; ემსჯელა ამ ორგანიზაციის მუდმივ შტაბ-ბინაზე და ა.შ.

**გაეროს საბრძანებლად განიხილებოდა ისეთი ქალაქები, როგორებიცაა კოპენჰაგენი, ჟენევა, პარიზი, დაისვა საკითხი მონაკოს შესახებაც. ყველა, ვინც აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში, ათვითცნობიერებდა, რომ ქვეყანა, ქალაქი, სადაც განთავსდებოდა გაეროს შტაბ-ბინა, მიიღებდა უწყვეტი ვალუტის ნაკადს, უამრავი სტუმრის მომსახურების შანსს და აქედან გამომდინარე შემოსავალს, დასაქმებას და ა.შ.**

**შტაბ-ბინის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა გაეროს პირველ გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ლონდონში 1946 წლის დასაწყისში გაიმართა. მასში 51 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. ასამბლეამ მხარი დაუჭირა შტაბ-ბინის განთავსებას აშშ-ში, ხოლო აშშ-ს დელეგაციამ განაცხადა, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ შტაბ-ბინისთვის შეარჩია ტერიტორია ქალაქ ნიუ-იორკში. აშშ-ს ადმინისტრაციის სურვილი, სურვილად დარჩებოდა, რომ არა მილიარდერ როკფელერის ფართო ჟესტი - გაეროსთვის საჩუქრად გადაეცა მიწის ნაკვეთი მანჰეტენზე.**

როკფელერის სხარტ გონებას, ანგარებაც ამოძრავებდა. მან მშვენივრად გათვალა, რომ გაეროსთვის ნაბოძები მიწის ნაკვეთს, სადაც შენობა აიგებოდა, უდავოდ დიდი პერსპექტივა ექნებოდა ფულის სახით, განსაკუთრებით შემოგარენს, სადაც როკფელერის საკუთრებაში არაერთი ნაკვეთი იყო.

სსრკ-ს ელჩმა აშშ-ში, შემდგომში გაეროში საბჭოთა წარმომადგენელმა ანდრეი გრომიკომ როკფელერთან საუბრის დროს ხაზგასმით ახსენა, რომ შტაბ-ბინის აშშ-ში განთავსებას სტალინმა დაუჭირა მხარი. მან ისიც თქვა, რომ სან-ფრანცისკოს კონფერენციის მსვლელობის დროს კრემლიდან მიიღო დეპეშა ამის თაობაზე.

გრომიკოს განმარტებით, მოტივი მხარდაჭერისა იყო ის, რომ აშშ-ს ინტერესი ჰქონოდა საერთაშორისო საკითხებისადმი. მოსკოვს შიში ჰქონდა იმისა, რომ ვაშინგტონი თვითიზოლაციაში მოექცეოდა, რაც ხელს შეუწყობდა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ამბიციური პოლიტიკის გაღვივებას.

ნდობა აშშ-სადმი პრეზიდენტ რუზველტის პოლიტიკით იყო გამოწვეული. ამ პიროვნებისადმი სტალინის უაღრესად დადებითი განწყობით. რუზველტი ვერ ეღირსა გაეროს სან-ფრანცისკოს კონფერენციას, ის მანამდე, მოულოდნელად გარდაიცვალა.

ვიცე-პრეზიდენტი ტრუმენი, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტი გახდა, ის პიროვნებ იყო, ვინც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას დაპირისპირება ამჯობინა. სწორედ ტრუმენის პოლიტიკით, ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის ძალისხმევით, ძალაში შევიდა „ცივი ომის" პოლიტიკა, რაც დღემდე გრძელდება. მართლია,



არა იმ პარამეტრებით, როგორც სსრკ-ს არსებობის დროს იყო, მაგრამ სხვა განზომილებით, სხვანაირი შემართებით, რაც დაფიქსირდა საიუბილეო 70-ე გენერალურ ასამბლეაზე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

## დედამიწის ზურგზე



**სერია-მ-მ-ის უკანასკნელი სატვირთო ხომალდი „პროგრესი" შეუერთდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს**

**ხომალდმა ორბიტაზე გაიტანა 2369 კილოგრამი სხვადასხვა ტვირთი. ბაიკონურიდან „პროგრეს მ-29 მ"-ის გაშვება 1 ოქტომბერს გახდა უკანასკნელი ამ სერიის კოსმოსური ტვირთისათვის. ნოემბრიდან ექსპლუატაციაში შევა „პროგრეს მს" — მოდერნიზირებული და გამყარებული აპარატი.**

* * *




**დაასახელეს ორეგონაში სავარაუდო მსროლელის სახელი, რომელმაც 10 კაცი მოკლა**

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ ხოცვა-ჟლეტა კოლეჯ „Umpqua Comminity"-ის კამპუსში ქალაქ როზბურგში 26 წლის კრის ჰარპერ მერსერმა მოაწყო. დანაშაულებამდე ერთი დღით ადრე მან, სავარაუდოდ, თავისი გეგმები გაუზიარა ანონიმურ ფორუმზე 4chan.**

* * *

**ობამა ორეგონში სროლის შესახებ: თანაგრძნობები და ლოცვები საკმარისი არაა**

**პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მოუწოდა შეცვალონ კანონები იარაღის თავისუფალი ფლობის შესახებ, რაც ამერიკის შეერთებული შტატებში გარანტირებულია კონსტიტუციაში მეორე ცვლილებით. ეს ინიციატივა კიდევ მიგვითითებს კანონმდებელთა ურთიერთდაპირისპირებაზე, და ამჯერადაც ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ მას არ შეუძლია შეცვალოს სიტუაცია.**

* * *



**ავღანეთში ჩამოვარდა ამერიკული სატრანსპორტო ხომალდი, დაიღუპა 10-ზე მეტი კაცი**

**თვითმფრინავმა Hercules C-130 მართვა დაკარგა ჯელალაბადის აეროპორტის თავზე — ესაა ქალაქი ავღანეთის აღმოსავლეთით. სხვადასხვა მონაცემებით კატასტროფის შედეგად დაიღუპა 11-დან 14 კაცამდე. მათ შორის ამერიკელი სამხედროებიც.**

* * *

**პენტაგონში დაფიქრდნენ აშშ-ში გაწვრთნილი სირიელი მეამბოხეების ბედზე, რომლებსაც რუსეთისგან საფრთხე ელით**

**ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ უფროსი სამხედრო ხელმძღვანელები და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები განიხილავენ სამართლებრივი და საგარეო პოლიტიკის სადავო საკითხებს, ამოწმებენ ძალის გამოყენების შესაძლებლობას რუსეთის ფედერაციის მოქმედებათა საპასუხოდ. ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ რუსეთი სირიაში ბომბავს არა მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებს.**

საქმე №1/131-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

29 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: თეიმურაზ კვიციანი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 4 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე თეიმურაზ კვიციანის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით:

2014 წლის 4 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა" და თეიმურაზ კვიციანს შორის დაიდო №121414032 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 3750 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მერსედეს-ბენც E 500; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2002; ტიპი: სედანი; ფერი: ლურჯი 4/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WDBUF70J13A127418; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AV4013726; სარეგისტრაციო ნომერი: ZZZ006;

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე თეიმურაზ კვიციანზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თეიმურაზ კვიციანს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თეიმურაზ კვიციანს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თეიმურაზ კვიციანი მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თეიმურაზ კვიციანს (პირადი №62003002584) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. თეიმურაზ კვიციანს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ.№2, მე-2 სართული (გერმანიის საელჩოს მოპირდაპირედ) ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე თეიმურაზ კვიციანს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 ოქტომბერს 15:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ.№2, მე-2 სართული (გერმანიის საელჩოს მოპირდაპირედ) დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით თეიმურაზ კვიციანის მიმართ.
5. თეიმურაზ კვიციანს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

საქმე №1/146-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

29 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: კობა ბურდიაშვილი, თეა ტატურაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 3 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე კობა ბურდიაშვილის, თეა ტატურაშვილისა და დიმიტრი ჯავახიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით:

2013 წლის 21 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა" და კობა ბურდიაშვილს შორის დაიდო №061391357 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 2000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია თეა ტატურაშვილის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ჯიპ გრანდ ჩეროკი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2002; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ფერი: რუხი 6/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №1J8GW58NX3C598328; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: RV0280051; სარეგისტრაციო ნომერი: BUR070.

2013 წლის 21 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა" და დიმიტრი ჯავახიშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება რომლის თანახმადაც, თავდები იღებს ვალდებულებას მთლიანად იყოს პასუხისმგებელი 2013 წლის 21 ივნისს გაფორმებული №061391357 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე კობა ბურდიაშვილსა და დიმიტრი ჯავახიშვილზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დიმიტრი ჯავახიშვილს ოთხჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივ ადგილსამყოფელის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნისა და მისი მოუძიებლობის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დიმიტრი ჯავახიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დიმიტრი ჯავახიშვილი მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დიმიტრი ჯავახიშვილს (პირადი №01019013987) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
10. დიმიტრი ჯავახიშვილს განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
12. მოპასუხე დიმიტრი ჯავახიშვილს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 ოქტომბერს 12:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11 დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით კობა ბურდიაშვილის, თეა ტატურაშვილისა და დიმიტრი ჯავახიშვილის მიმართ.
13. დიმიტრი ჯავახიშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

## დღეს სფფ-ის ყრილობაა

# ამიტომ მივწერე უეფას...

## ლევან კობიაშვილმა თავისი წერილი გაასაჯაროვა

**სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან კობიაშვილი უეფას მიერ არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამოგზავნილ წერილს გამოეხმაურა.**

**უეფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აფრთხილებს: დაიცავით წესდება!**



„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ვასაჯაროებ იმ წერილს, რომლითაც რამდენიმე დღის წინათ უეფას მივმართე", — ამბობს კობიაშვილი.

გთავაზობთ უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისა და გენერალური მდივნის ჯანი ინფანტინოს სახელზე გაგზავნილი წერილის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს...

**სადაა დემოკრატია და კარგი ცხოვრება?!**

„სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად სრულად გამოვიყენე და დავიცავი სფფ-ის ყველა მარეგულირებელი ჩარჩო და ფეხბურთის დამოუკიდებელი სამართლებრივი სივრცე, თუმცა, სფფ-ის ალმასკომი სამართლიანი თამაშის წესებს პერმანენტულად არღვევს და საფეხბურთო კანონმდებლობას უგულებელყოფს.

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა და მეთხოვა დახმარება, რათა მიმდინარე პროცესებზე ობიექტურად იყოთ ინფორმირებული.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით უეფას წარმომადგენლები გულისხმიერებით მოეკიდებიან წერილში აღნიშნულ მნიშვნელოვან დარღვევებს და შესაბამის პრევენციულ ზომებს გაატარებენ", — წერს კობიაშვილი.

**პრეზიდენტობის კანდიდატი უეფას მაღალჩინოსნებს ალმასკომის გადაწყვეტილებებზეც მიუთითებს:**

„ალმასკომი სრული უპასუხისმგებლობით ეკიდება უეფას, ფიფასა და თავისსავე წესდებებსა და რეგულაციებს, არღვევს მის მიერ დამტკიცებულ წესდებას, საფეხბურთო ეთიკის კოდექსს, საფეხბურთო საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

სრული პასუხისმგებლობით გაცნობებთ, რომ ეს ორგანო წინასაარჩევნო პროცესში არის მიკერძოებული, ხელს უშლის კონკურენტუნარიანი არჩევნების ჩატარებას და პრეზიდენტობის კანდიდატებს არათანაბარ საარჩევნო გარემოს უქმნის.

მით უფრო, საგანგაშო და საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ალმასკომი არასწორ გადაწყვეტილებებს უეფას სახელის მანიპულირებით ამართლებს, რაც საზოგადოებისგან არაერთგვაროვნად არის აღქმული და ცალსახად არ ემსახურება უეფას ინტერესებს".

**რას აკეთებს ალმასკომი?**

კობიაშვილი ყურადღებას ალმასკომის მიერ წესდების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე ამახვილებს, მათ შორის გურიისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის დელეგატებთან დაკავშირებულ მოვლენებზე:

„მიუხედავად იუსტიციის სამინისტროს იურიდიული განმარტებისა, სფფ-ის ალმასკომმა წესდებისა და ქვეყნის კანონმდებლობის სრული იგნორირებით თავისი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მეტიც: სფფ-ის წესდების თანახმად, ალმასკომის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სპორტულ ტრიბუნალში, რომელმაც სარჩელი დააკმაყოფილა და ალმასკომს გადაწყვეტილების გაუქმება დაავალა... ალმასკომმა კი არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და ტრიბუნალის მედიატორი უსაფუძვლოდ გაათავისუფლა.

ამ შემთხვევაში ალმასკომმა დაარღვია სფფ-ის წესდება, მისივე დამტკიცებული ტრიბუნალის დებულება, რომლის მიხედვითაც მედიატორის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება".

**კობიაშვილმა უეფას ეთიკის კოდექსის დარღვევაზეც აცნობა:**

„სფფ-ის 8 წევრმა ყრილობის დელეგატად წარადგინა სფფ-ის თანამშრომლები, მათ შორის ნაკრების მწვრთნელი, რომლებიც წარდგენისას მოქმედი გენერალური მდივნის, ახლა კი პრეზიდენტობის კანდიდატის უშუალო სამსახურებრივ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი ცალსახად იკვეთება. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ალმასკომმა ეს საკითხი სრულიად უგულებელყო და განხილვის გარეშე დაამტკიცა.

ეთიკის კოდექსი დაარღვია თავად პრეზიდენტობის კანდიდატმაც, როცა უფლებამოსილება დროულად არ მოიხსნა. ამასთან, გაურკვეველია, გაცნობათ თუ არა უეფას ამის შესახებ სფფ-მ, რასაც ეთიკის კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს".

**ეს ყველაფერი უგულებელყოფილია!**

კობიაშვილი წერილში რიგგარეშე ყრილობის მოწვევის აუცილებლობაზეც წერს:

„სფფ-ის წესდებით, ალმასკომი ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა სფფ-ის წევრების არანაკლებ 1/5-ის (7 წევრი) მოთხოვნის წარდგენიდან ერთ თვეში. სფფ-ის ალმასკომს ამ თხოვნით ოფიციალურად მიმართეს, მაგრამ წესდება ამ შემთხვევაშიც იგნორირებულია და, ფაქტობრივად, საკითხი განუხილველი დარჩა".

**ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ყურადღებას სფფ-ის საკადრო ცვლილებაზეც ამახვილებს:**

„ალმასკომმა საპრეზიდენტო არჩევნებამდე 10 დღით ადრე გენერალურ მდივნად სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელი დაამტკიცა. ეს გადაწყვეტილება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ალმასკომის გადაწყვეტილებების ოქმი ვერ მოვიძიეთ და ისინი მხოლოდ პრესასთან განცხადებებით შემოიფარგლებიან".

**პრეზიდენტობის კანდიდატი სფფ-ს და მის კანდიდატს სერიოზულ ბრალდებას უყენებს:**

„მარეგულირებელი ჩარჩოები არ უნდა ირღვეოდეს თავად სფფ-ის ალმასკომის მიერ, თან არაერთგზის და არათანაბარი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად არ უნდა გამოიყენებოდეს.

ფაქტებით დასტურდება, რომ საქმე გვაქვს სფფ-ის ალმასკომისა და პრეზიდენტობის კანდიდატის შეთანხმებულ ქმედებებთან, რითიც ირღვევა უეფას ძირითადი პრინციპები".

**რედაქციისგან: სრულიად საქართველოს ძაღლის ნაკბენივით ახსოვს 2007 წლის 13 მაისის სფფ-ის სამარცხვინო ყრილობა, რომელიც ფარსში გადაიზარდა და გამარჯვებული კანდიდატის პოსტიდან ზემოქმედების შედეგად 1 საათში გადადგომით დასრულდა. რას ვიზამთ, მაშინ დრო იყო ისეთი, ნაციონალური ხროვის ზედა ეშელონებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად.**

**მართალია, მაშინდელი შოუს მონაწილეთაგან ბევრს დღესაც ყრილობის პრეზიდიუმში ვიხილავთ, მაგრამ ვიმედოვნებთ ამჯერად მოვლენები ობიექტურად განვითარდება.**

## ჭადრაკი

# ქართველები - კლასიფიკაციაში



**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ სექტემბრის შედეგების გათვალისწინებით საოქტომბროდ მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალებში** ჩინელი მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი მეწინავეობს 2672 პუნქტით. შემდეგ მოდიან: ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2578), ნანა ძაგნიძე (2573), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2549), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2542), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), ვალენტინა გუნინა (2529), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2528), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2525), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2524). პირველ ასეულში, ძაგნიძის გარდა, კიდევ რვა ქართველი დიდოსტატია: 14. ბელა ხოტენაშვილი (2502), 15. ნინო ბაციაშვილი (2500), 29. ლელა ჯავახიშვილი (2463), 33. სალომე მელია (2452), 50. ნინო ხურციძე (2426), 63. მერი არაბიძე (2405), 98. მაია ლომინეიშვილი (2369), 100.სოფიკო გურამიშვილი (2365).

**ვაჟები:** მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2850), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2816), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2813), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2803), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2798), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2796), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2790), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2782), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2777), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2774). ქართველ დიდოსტატ ბაადურ ჯობავას 2683 პუნქტით 56-ე ადგილი უკავია.

**ლაშა დიდია**

## კალათბურთი

# „ვითამ" უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დაიმატა

**თბილისის „ვითამ" ვთბ-ლიგის სტარტამდე კიდევ 1 კალათბურთელი დაიმატა — უკრაინის ნაკრების წამყვანი უკანახაზელი ალექსანდრ ლიპოვიი (სიმაღლე 2.00 მ.).**

ხარკოვში დაბადებული მცველი 9 ოქტომბერს 24 წლის შესრულდება, თუმცა, ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს.



ალექსანდრემ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და საშუალოდ 5.2 ქულას და 2.5 მოხსნას აგროვებდა. 2014 წლის მსოფლიო პირველობაზე მისი მონაგარი 4.8 ქულა და 2.4 მოხსნა გახლდათ, მცირე ხნის წინ დასრულებულ ევრობასკეტ-2015-ზე კი საშუალოდ 7 ქულას და 3 მოხსნას უყრიდა თავს.

ლიპოვიიმ გასული სეზონი უკრაინულ „ბუდიველნიკში" გაატარა, სადაც მისი საშუალო მაჩვენებლები 9.8 ქულა, 4 მოხსნა და 3.7 პასი იყო.

შეგახსენებთ, რომ ვთბ—ლიგის სადებიუტო მატჩი „ვითასა" და რუსულ „კრასნი ოქტიაბრს" შორის ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში 16 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## რაგბი

# საფრანგეთმა თითქმის გაინაღდა

**საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპზე მესამე გამარჯვება მოიპოვა, ორი პრემიალური ქულა აიღო და მცირედი თეორიული შანსი დარჩა იმისა, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდეს.**

კანადელებთან მატჩის პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა, ჩრდილოამერიკელებმა ბოლომდე იბრძოლეს და რაც შეეძლოთ გააკეთეს, მაგრამ ბოლოს უფრო მაღალი კლასის გუნდმა მაინც თავისი გაიტანა, 67-ე წუთზე პრემიალური მეოთხე ლელო მიითვალა, ჯამში კი მეტოქეს ორის პასუხად ხუთი ლელო გაუტანა — 41:18.

ჯგუფის შემდეგ მატჩში ირლანდია იტალიას შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში ის და საფრანგეთი მეოთხედფინალში თამაშს დაიბევებენ.

**უელსი — ფიჯი 23:13.**

**ბადრი იაშვილი**



## ინტერნეტიდან



# ლუსიანა სალასარმა ძველი ამბები გაიხსენა

**მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი არგენტინული ბულვარული ჟურნალი „გაბრიყვდა" და ცნობილ არგენტინელ მოდელსა და პორნოვარსკვლავს ლუსიანა სალასარს საავტორო გვერდი დაუთმო, ამ ქალის სკანდალურმა ნაწერებმა მთელი ლათინური ამერიკა გადარია და სისხლი აუმღვრია.**

ლუსიანა კვირაში ერთხელ გამომავალ ჟურნალში ყველაფერს წერს, რაც კი გაახსენდება და მოეხასიათება დაწყებული თავისი გარდასული დღეებითა და დამთავრებული ნაცნობ-უცნობი საყვარლების ვინაობით, რომელთა უმეტესობა დღეს ცოლიანია და მათ, ბუნებრივია, ლუსიანას ასეთი გულახდილობა სულაც არ ეპიტნავებათ.

ამასწინათ ეს ჩვენი სალასარის ქალი დადგა და სულ დეტალურად აღწერა, როგორ იბუღრავა ვეტერან არგენტინელ ფეხბურთელ პაბლო აიმართან და იმასაც გაუსვა ხაზი, სენიორ პაბლო სექსში დიდი ვერაფერი შვილიაო. აბა მოდი და ამის მერე ენდე ასეთ ყბაღია ქალს, რომელიც მუდამ მზადაა ყველაფერი წამოაყრანტალოს...

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ საფეხბურთო მოზაიკა

# ევროპული სიმბოლური მესის და რონალდუს გარეშე



**ევროპის სპორტულ გამოცემათა ასოციაციამ (ESM) კონტინენტის ეროვნული ჩემპიონატების სექტემბრის სიმბოლური გუნდი დაასახელა, რომელშიც ამჯერად ვერ მოხვდნენ „ბარსელონას“ და „რეალის“ ლიდერები ლიონელ მესი და კრიშტიანუ რონალდუ.** სიაში კატალონიური გრანდი საერთოდ არაა წარმოდგენილი, ხოლო „რეალს“ ორი წარმომადგენელი ჰყავს. ყველაზე მეტი, 3 ფეხბურთელი „დორტმუნდიდანაა“, ხოლო ყველაზე მეტი ხმა „ბაიერნის“ პოლონელმა შემტევმა რობერტ ლევანდოვსკიმ მიიღო, რომელიც შესანიშნავ კონდიციებში იმყოფება და გასულ თვეში უხვგოლიანობით არაერთი რეკორდი დაამყარა.

**როგორც „სპორტ-ექსპრესი“ იტყობინება, სექტემბრის სიმბოლური ნაკრები ასე დაკომპლექტდა:**

კეილორ ნავასი („რეალი“, 10 ხმა); ფლორენცი („რომა“, 4), გინტერი („დორტმუნდი“, 4), ჰუმელსი („დორტმუნდი“, 5), მარსელო („რეალი“, 8); დუგლას კოშტა („ბაიერნი“, 7), ანხელ დი მარია („პსჟ“, 4), ლევანდოვსკი („ბაიერნი“, 13); ობამეიანგი („დორტმუნდი“, 6), ნოლიტო („სელტა“, 6), მარტიალი („მანჩესტერ იუნაიტედი“, 6).

ESM-ის ტრადიციულ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: World Soccer (ინგლისი), Fanatik (თურქეთი), Tipsbladet (დანია), Marca (ესპანეთი), ELF Voetbal (ჰოლანდია), Kicker (გერმანია), A Bola (პორტუგალია), De Telegraaf (ჰოლანდია), So Foot (საფრანგეთი), Sport/Voetbal Magazine (ბელგია), Frankfurter Allgemeine (გერმანია), Nemzeti Sport (უნგრეთი), Goal News (საბერძნეთი), Sport-express (რუსეთი).

# „ოქროს ბურთის“ 59 ნომინანტი

**ესპანურმა El Mundo Deportivo-მ წლევანდელი „ოქროს ბურთის“ ნომინანტთა 59-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელსაც ოქტომბრის ბოლოს ფიფა 23-მდე შეამცირებს. დეკემბრის დასაწყისში სამ კანდიდატს დაასახელებენ, გამარჯვებული კი 11 იანვარს ფიფას მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე გამოვლინდება.**



„ოქროს ბურთის“ წლევანდელ მაძიებელთა შორის „ბარსელონას“ და „რეალის“ ფეხბურთელები სჭარბობენ. ესპანეთის ორივე გრანდი 7-7 მოთამაშითაა წარმოდგენილი.

სრული სია ასე გამოიყურება:

ბრავო, მასკერანო, ინიესტა, მესი, ნეიმარი, რაკიტიჩი, სუარესი (ყველა — „ბარსელონა“), ბეილი, ბენზემა, კროოსი, მოდრიჩი, რამოსი, ხამეს როდრიგესი, რონალდუ (ყველა — „რეალი“), კიელინი, პოგბა, მორატა (ყველა — „იუვენტუსი“), ვიდალი („იუვენტუსი“/„ბაიერნი“), პირლო („იუვენტუსი“/„ნიუ იორკ სიტი“), ტევესი („იუვენტუსი“/„ბოკა ხუნიორსი“), ლევანდოვსკი, რობენი, ალაბა, მიულერი, ნოიერი (ყველა — „ბაიერნი“), ბონი, იაია ტურე, აგუერო (ყველა — „მანჩესტერ სიტი“), ოტამენდი („ვალენსია“/„მანჩესტერ სიტი“), დე ბრუინი („ვოლფსბურგი“/„მანჩესტერ სიტი“), დიეგო კოშტა, ვილიანი, კურტუა, აზარი (ყველა — „ჩელსი“), კავანი, იბრაჰიმოვიჩი, პასტორე (ყველა — „პსჟ“), რუნი, დე ხეა (ორივე — „მანჩესტერ იუნაიტედი“), დეპაი (პსვ/„მანჩესტერ იუნაიტედი“), ოსპინა, ალექსის სანჩესი (ორივე — „არსენალი“), გრიზმანი („ატლეტიკო“), ჯექსონ მარტინესი („პორტუ“/„ატლეტიკო“), ბაკა („სევილია“/„მილანი“), ჯოვანი დოს სანტოსი („ვილიარეალი“/ლოს ანჯელეს გელექსი“), კოუტინიო („ლივერპული“), ჰენ მინ სონი („ტოტენჰემი“/„ლევერკუზენი“), ატსუ („ევერტონი“/„ბორნმუთი“), გერერო („ფლამენგო“/„კორინთიანსი“), ვარგასი (ქპრ/„ჰოფენჰაიმი“), მედელი („ინტერი“), კეინი („ტოტენჰემი“), ლაკაზეტი („ლიონი“), გუარდადო (პსვ), კარლოს სანჩესი („რივერ პლეიტი“), ანდრე აიუ („მარსელი“/„სუონსი“), ლუონგო („სუინდონ თაუნი“), ოკაზაკი („მაინცი“/„ლესტერი“).

# იტალიური დღე ევროპა ლიგაზე



**ევროპის ლიგის მეორე ტურში წარმატებით ითამაშეს იტალიურმა კლუბებმა. ამ ქვეყნის სამივე წარმომადგენელმა გაიმარჯვა, თანაც, ორმა მათგანმა გასვლით შეხვედრაში.**

„ფიორენტინამ“ „ბაზელთან“ საშინაო მარცხით დაკარგული პორტუგალიაში აინაზღაურა და „ბელენენსეში“ 4:0 გაანადგურა. „ნაპოლიმ“ საკუთარი კარი ამჯერადაც ხელუხლებლად შეინახა, ხოლო „“ლეგიას“ ორი გოლი აკმარა. „ლაციომ“ თითქმის მთელი საათი კაცნაკლულად, ხოლო დასკვნით 15 წუთში ორკაცნაკლულად მოთამაშე „სენტ-ეტიენი“ გატეხა და მართალია 9 ფრანგისგან გოლი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ 3:2 იმარჯვა.

სულ მეორე ტურში გამარჯვება 10-მა მასპინძელმა და 7-მა სტუმარმა მოიპოვა, ხოლო კიდევ 7 თამაში ფრედ დასრულდა. ზემოთნახსენები 7 ფრიდან ხუთში 1:1 დაფიქსირდა. სამმა სტუმარმა და სამმა მასპინძელმა მეტოქე 1:0 დაამარცხა, ხოლო 4 თამაშში ანგარიში 2:0 იყო. მათ შორის თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი „აპოელიც“ მოხვდა, რომელიც „სპარტასთან“ ასეთი ანგარიშით დამარცხდა.

„მიდტიულანდმა“, „სიონმა“, „ლიბერეცმა“ და პაოკმა მოულოდნელი შედეგები დააფიქსირეს, დი სანტომ „შალკედან“ 17 წუთში ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო ჯუზეპე როსიმ 17-თვიანი უგოლო სერია დაასრულა.

**გიორგი შოთაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი მოღვაწის, ქართული სიმღერის დიდოსტატისა და სისხლითხორცამდე „გეპეელის“

**ვანიკო (ივანე) მაჭავარიანის**

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და განსაკუთრებული გულისტკივილით ემშვიდობება თავის გამორჩეულ აღზრდილს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი ოჯახით უდიდესი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს სიყრმის მეგობარს, ღირსეულ ქალბატონს, მეუღლეს, დედასა და ბებიას დარეჯან ელიაძეს დიდებული მეუღლის, ქვეყნის, ოჯახისა და სამეგობროს ღირსეული წარმომადგენლის, გამოცდილი პროფესიონალისა და დიდი ერისკაცის, კოლორიტული პიროვნების

**გიორგი დუნდუას**

გარდაცვალების გამო.

◉ გაითვალისწინეთ!

# აქტიური დღეები ოქტომბერში

**ოქტომბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 5, 8-13, 18, 19, 20, 23-27, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**5 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სასიცოცხლო ენერგია მცირდება, იმუნიტეტი სუსტდება. განწყობილება უარესდება. ძლიერდება მოდუნება და პასიურობა. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. განსაკუთრებით სარძეო ჯირკვლების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და საკვების გადასამუშავებელი ტრაქტისა. რეკომენდებულია ვერიდოთ გაციებას, ემოციურ აღგზნებას, თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისა და მძიმე საკვების მიღებისაგან, დავიცვათ დიეტა, ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დასრულებისათვის, სახლში სიმშვიდისა და მყუდროების შექმნისათვის.

**8 — მთვარის ვენერასთან შეერთება ქალწულში.** შესაძლებელია ნერვიულობა და უყურადღებობა, უძილობა, ცუდი განწყობილება. სტრესის შედეგად შეიძლება გამწვავდეს ან გაჩნდეს ნერვული სისტემის დაავადებანი, დაირღვეს კვების გადამუშავება და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობა. არ არის გამორიცხული კანის დაავადებანი. სასურველია, არ მოვიხმაროთ მძიმე და ცხოველური საკვები, გამოვიყენოთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები, ვერიდოთ გაციებას. ხელსაყრელი დროა კერძო დათვალიერების, პროფილაქტიკის, მკურნალობის, ოპერაციისთვის მზადებისთვის.

**9 — მთვარის მარსთან შეერთება ქალწულში.** საალბათოა კუჭ-ნაწლავთან ტრაქტის დაავადებანი, მწვავე ინფექციები, ანთებითი პროცესები, აპენდიციტის, ჰემოროის შემოტევები. შესაძლებელია თავბრუსხვევა, თავის ტკივილები, სახისა და თავის დაავადებანი და ტრავმები. აუცილებელია ვერიდოთ ტრავმატიზმს, გადამდებ დაავადებებს, გადაღლილობასა და სტრესებს, აღმგზნებ საშუალებებს. ხელსაყრელი დროა საქმიანი აქტივობისათვის, დოკუმენტების გაფორმებისა და ხელმოწერისათვის.

**10 — მთვარის იუპიტერთან შეერთება ქალწულში.** შესაძლებელია ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი. ხელსაყრელი დროა კანის დაავადებათა სერიოზული მკურნალობისათვის. ღვიძლისა და სისხლის გამოკვლევისათვის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის. სასურველია, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ვერიდოთ დავებსა და კონფლიქტებს. ხელსაყრელი დროა ქველმოქმედებითი საქმიანობისათვის, ინტელექტუალური მოღვაწეობისათვის.

**11 — მთვარის მერკურთან შეერთება სასწორში.** შესაძლებელია თირკმლების, შარდის ბუშტის დაავადებანი, ტკივილების გაჩენა მენჯის მიდამოებში, რადიკულიტი, ნევროზი, ნევრალგია, დეპრესიები, არტერიული წნევის ვარდნები, თავბრუსხვევა, შეიძლება საჭირო გახდეს მეტი ყურადღების მიქცევა სასუნთქი ორგანოებისა და ხელებისადმი. რეკომენდებულია ვერიდოთ გაციებას, განსაკუთრებით მენჯის მიდამოებში, გამოვრიცხოთ ცხარე და მლაშე კერძები, ალკოჰოლი. სასურველია, ზედმეტად არ გამოვძღეთ და ვსვათ მეტი სითხე. ხელსაყრელი დროა მეგობრული შეხედრებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, კონტაქტების მოწესრიგებისათვის.



**13 — სავსე მთვარე. ორგანიზმი მაქსიმალურადაა დასუსტებული.** დაქვეითებულია იმუნიტეტი. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, მათ შორის თირკმლების, შარდის ბუშტის, კუჭქვეშა ჯირკვლისა. შეიძლება, შეგვაწუხოს თავისა და კუჭის ტკივილებმა, რადიკულიტმა. რეკომენდებულია უფრო დიდხანს დავისვენოთ, ვერიდოთ ტრავმატიზმს, დავიცვათ სიფრთხილე ტრანსპორტში. ვერიდოთ სტრესებსა და კონფლიქტებს. სასურველია, არ დავგეგმოთ დღეისათვის აცრები და ოპერაციები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. ხელსაყრელი დროა მეგობრული შეხვედრებისთვის, გასეირნებისა და დასვენებისათვის.

**16 — მთვარის სატურნთან შეერთება მშვილდოსანში.** შესაძლებელია, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებანი. მენჯ-ბარძაყის სახსრების, საჯდომი ნერვის დაავადებანი, ვენოზური სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ნევრალგია. საალბათოა ძვლებისა და სახსრების გამწვავება მენჯ-ბარძაყის და მუხლის მიდამოებში. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა. უარი ვთქვათ ცხიმიან და ცხარე საკვებზე. ვერიდოთ ტრავმატიზმს, გაციებებს, გაციებას მენჯის მიდამოებში. სასურველია, გამოვრიცხოთ სიმძიმეების აწევა და გადატანა. ხელსაყრელი დროა ეკლესიაში მისვლისათვის, მგზავრობისათვის, კავშირურთიერთობათა მოწესრიგებისათვის.

**19 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში.** შესაძლებელია, მარტოსულობის გრძნობა. დეპრესია, ძვლებისა და სახსრების ქრონიკულ დაავადებათა, კანისა და კბილების ტკივილების გამწვავება. არ არის გამორიცხული შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, გამორიცხეთ ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები, სიმძიმეების გადატანა, დიდ დატვირთვებს საყრდენ-სამოძრაო სისტემებზე, ერიდეთ ორგანიზმის გაციებას, განსაკუთრებით ზურგისა და ფეხის, მოსალოდნელია კბილების ტკივილი.

**20 — მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია თავის ტკივილები, ქრონიკულ დაავადებათა, განსაკუთრებით საყრდენ-მოძრაობის აპარტისა და შარდსასქესო სფეროს, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. სასურველია, არ ჩავერთოთ კონფლიქტებში, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე და მძიმე საკვებზე, ვერიდოთ გაციებას, გამოვრიცხოთ მაღალი ფიზიკური დატვირთვა.

**23 — მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში, მზე გადადის ღრიანკალის ნიშანში.** მეტად საალბათოა შეშუპება, ატმოსფერული წნევის, ტემპერატურისა და განწყობილების ვარდნები. გაზრდილია ავარიულობისა და ტრავმატული სიტუაციების ალბათობა დაბნეულობის, უყურადღებობის გამო. შესაძლებელია ინფექციური დაავადებანი, ტკივილები ფეხების სახსრებში, ვენებში. არ არის გამორიცხული შეშუპებანი და მხედველობის გაუარესება. რეკომენდებულია, არ გადავტვირთოთ ღვიძლი, თვალები და ფეხები. დავიცვათ დიეტა. უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებსა და ყავაზე. სასაგებლოა წყლის პროცედურები. ტერფების მასაჟი, ტანვარჯიში, მსუბუქი გასეირნება. ხელსაყრელი დროა ქველმოქმედებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

**26 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძში, მთვარის პერიგეი.** ეს არის მოულოდნელობათა, გეგმების შეცვლის, ელექტრონული სისტემების მოშლის დღე. რეკომენდებულია, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, მოწევაზე, შოკოლადზე, მძიმე და ცხიმიან საკვებზე. არ არის საჭირო პროტეზირება, ამოვიღოთ და ან ვუმკურნალოთ ზედა კბილებს, გავიკრიჭოთ თმები, გადავღალოთ თვალები, ერიდეთ დაცემებსა და ტრავმატიზმს. კეთილნაყოფიერია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და გასეირნება. სერიოზული საქმეების დასახვა დღეისათვის არ ღირს.

**27 — სავსე მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. მეტად საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ვარდნები, გულის შეტევები, უძილობა. არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლები, რეკომენდებულია, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ საშუალებებზე, ნარკოზზე, ვერიდოთ ტრავმატიზმს, მომწამვლელ ნივთიერებებს, უხარისხო პროდუქტებს, ნუ ჩავერთვებით დავებსა და კონფლიქტებში.

◉ ქალაქის კოლორიტი

# სიყვარულისთვის დაბადებული



50-იანი წლების მიწურულს საქართველოში უეცრად გამოჩნდა გუნდი ჭაბუკ მომღერალთა (მეგობართა გუნდი) ბატონ ჯანსუღ კახიძის თავკაცობით, რომლებმაც მსოფლიოს გააცნეს ქართული ხალხური სიმღერის სიდიადე. ისინი უცხოეთიდან ფოლკლორის მსოფლიო საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები დაგვიბრუნდნენ. მაშინ მათი წყალობით საქართველოში დაიწყო ქართული ხალხური სიმღერის აღმავლობა. მრავალი გუნდი აღმოცენდა და დამკვიდრდა. ჭაბუკ მომღერალთა გუნდის წევრები, გარდა იმისა, რომ ქართულ დიდებულ სიმღერას აცნობდნენ საზოგადოებას, თავად იყვნენ დიდებული სანახავი თეთრ ჩოხებში, კეთილად აღნაგნი და მშვენიერნი. ამ მშვენიერთა შორის იდგა ახლად ულვაშაყრილი ჭაბუკი — ვანიკო მაჭავარიანი, რომელიც ამქვეყნად მოავლინა ღმერთმა გალობისათვის. მისი ხავერდოვანი, მაგრამ მჭექარე, ვაჟკაცურ ხმას შორიდან ქარის მოტანილსაც კი ამოიცნობდი თავისი განუმეორებელი ტემბრით. ის არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, უნიჭიერესი, კეთილბუნებოვანი, კეთილმოსურნე, საოცარი იუმორის მქონე, იგი ყველასთვის სანატრელი, სიყვარულისთვის დაბადებული კაცი იყო. აი, რა თქვა ერთხელ გასტროლებიდან დაბრუნებულმა ბატონმა ჯანსუღ კახიძემ: **„წარმატებული იყო ყველაფერი, დიდი გამარჯვება იყო, დიდი სიხარული, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვფრინდებოდი თბილისში ვანიკოსთან მრავალჟამიერის სათქმელად“**... ისინი უახლოესი მეგობრები იყვნენ და ვისაც მათი ერთად ყოფნა უნახავს და სიმღერა მოუსმენია, ის იოლად მიხვდება ნატვრის მიზეზს, თუ ვინ იყო ვანიკო. მისთვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება შემთხვევით არ მიუნიჭებიათ, ის იყო ღირსეული მამულიშვილი. მისმა ამ ქვეყნიდან წასვლამ ძალიან ბევრ თბილისელს ატკინა გული და არამარტო თბილისელს. მისი სიმღერების ჩანაწერები ხშირად გაგვახსენებს მას და იგი ყოველთვის ჩვენთან იქნება.

დიდი სინანულითა და გულისტკივილით ვუსამძიმრებ ოჯახს — მის უერთგულეს მეგობარს — მეუღლეს ნანას, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს, ქართველ ხალხს.

**მერაბ ბერძენიშვილი**
01.10.15.

◉ „აკვა თერმ თბილისი — 2015“

# ვაშენოთ და ვიცხოვროთ კომფორტულად



**საგამოფენო ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ“ ღვინობისთვე მეტად საინტერესო გამოფენით დაიწყო, რომელიც რიგით მეორე საერთაშორისოა თბილისისათვის. გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება, წყალმომარაგება, სანტექნიკა და აუზების მოწყობა. ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ გამოფენა მეტად მრავალფეროვანია. ჩვენი ყოველდღიურობისა და კომფორტული ცხოვრებისთვის უახლესი ტექნიკის თვალის შევლება სიამოვნება, ხოლო სპეციალისტებისთვის მრავალფეროვანი არჩევანი წარმატების გარანტიას წარმოადგენს.**

საუნების მშენებლობა, მოპირკეთება და აქსესუარები, წყლის მოვლის დანადგარები და სხვადასხვა გამწმენდი ქიმიკატები, სამშენებლო მასალები და, რაც მთავარია, ყველანაირი ტექნიკა ევრომასტერთა საქმიანობისათვის.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაში ჩვენი ქვეყნის გარდა, თურქეთის, რუსეთის, იტალიის, შვედეთის, ბელგიისა და არაბეთის საემიროთა 32 წამყვანი კომპანია იღებს მონაწილეობას. გამოფენის მიზანი კი საქართველოში უახლესი ტექნოლოგიების შემოტანა, საერთაშორისო გამოცდილება და უცხოური და ჩვენი კომპანიების დაკავშირებაა.

გამოფენა 3 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება.



**ავთანდილ ბექაური**
**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო.

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**293-37-87**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**ყურადღება!**

**იყიდება** დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◉ ცინცხალი ანეკდოტები

**როცა** გავიზრდები, ბინასაც ვიყიდი, ინსტიტუტსაც დავამთავრებ, მანქანაც მეყოლება და ლამაზი ცოლიც.

ბიჭი მიხო, 37 წლის.

* * *

**ფსიქოლოგის** უბის წიგნაკიდან:.

„ცოლები ქმრებს ყველაზე დიდი ყურადღებით მაშინ უსმენენ, როცა ისინი სხვა ქალებს ელაპარაკებიან“.

* * *

— **რატომ** გაეყარე ცოლს, ვამეხ? თავიდან ხომ როგორ ტკბილად იყავით ერთმანეთში!

— იმიტომ გავეყარე, ძმაო, რომ ჩემი გატაცებები არ მოსწონდა.



— ეგეთი რა გატაცებები გქონდა განა?

— როგორ თუ რა გატაცებები? ღვინო და ქალები!

— რა, საქმიანობთ?

— კოექტოი ვარ.

— ეგ როგორ?

— ოგო და ედაქციაში ვმუშაობ, წეილებში შეცდომებს ვასწოებ!

* * *

**სკოლაში** გაკვეთილები მიდის, დირექტორი სართულებზე დადის, იქაურობას ამოწმებს. უცბად პირველი კლასის ოთახთან ხედავს ბიჭუნას, რომელიც მთელი მონდომებით სიგარეტს აფუილებს, თან დირექტორს არც იმჩნევს. ტვინში სისხლის ჩაქცევამდე მისულ დირექტორს მეტყველების უნარი რომ უბრუნდება, ცივი ხმით კივის:

— რომელი კლასია?

ლაწირაკი აუღელვებლად უყურებს დირექტორს, ცხვირში აბოლებს და მშვიდად პასუხობს:

— ბურჟუაზია!

◉ კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე